ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №54 (1564) 12 ივნისი, 1997 წელი

# ფრთხილად!



Jerusalem

http://flags.cesi.it/dirk/jerusal.htm



*This collection is kindly hoisted by FOTW Flags of the World*

სხვა გაზეთებმაც და, მათ შორის, „ლიტერატურულმა საქართველომაც“ (1997 წ., №23) საზოგადოებისათვის გამოსაცნობად დასტამბეს დროშა, რომელზეც გამოსახულია ხუთი ჯვარი, ერთი დიდი და ოთხი პატარა. ამ დროშის საქართველოს სახელმწიფო დროშად გამოცხადებას მხარი დაუჭირა მწერალთა გაერთიანებამ „ოტარიდმაც“.

რატომღაც გაჩნდა სურვილი ეს დროშა გააიგივონ იმ დროშასთან, რომელიც მატიანეში მოხსენიებულია „გორგასლიან-დავითიანის“ სახელით. მართალია, ჩვენი მატიანე ახსენებს „გორგასლიან-დავითიან“ დროშას, მაგრამ არსად ოდნავადაც კი არ არის მინიშნებული – როგორი იყო იგი. არ არსებობს მისი აღწერილობა. არ გვაქვს არც იმისი არავითარი საბუთი, რომ უცხოელთა მიერ დახატულ საქართველოს რუკაზე გამოსახული ხუთჯვრიანი დროშა გავაიგივოთ „გორგასლიან-დავითიან“ დროშასთან. ამ საკითხზე საუბარში არ ჩავერეოდი, რომ არა ერთი გარემოება. ზუსტად ასეთი ხუთჯვარიანი დროშა ცნობილია იერუსალიმის დროშად. ჩვენს მეცნიერებს არ დაუსაბუთებიათ, რომ იერუსალიმის ხუთჯვრიანი დროშა ქართველების შეტანილია სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობის, ისლამის – წმიდა ქალაქში. უნდა მეცნიერულად გაირკვეს, რატომ ემთხვევა ასე ზუსტად ერთმანეთს იერუსალიმის დროშა და ის დროშა, რომელსაც გვთავაზობენ საქართველოს სახელმწიფო დროშად.

ფრთხილად, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავარდეთ და დროშის ქურდობა არ დაგვწამონ.

ჯერჯერობით, არაფერს მოგახსენებთ იმაზე, რა დიდი ხიფათით ემუქრება საქართველოს ერთიანობა-მთლიანობას შემოთავაზებული დროშა.

**აკაკი ბაქრაძე**

## სკანდალი

### გამოვლენილია თავდაცვის სამინისტროს მიერ დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოდან შემოსული მასალებისა და საქართველოს გენერალური პროკურორის წერილობითი მითითების საფუძველზე საგამოძიებო სამსახურში 1997 წლის 2 აპრილს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო საჰაერო ძალების დედოფლისწყაროს რაიონის „დიდი შირაქის“ და მარნეულის რაიონის ტერიტორიაზე დისლოცირებული აეროდრომებიდან ამავე სამინისტროს კომერციულ სამმართველოს მეშვეობით დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების გატაცების ფაქტზე.

1997 წლის 7 თებერვალს დედოფლისწყაროს რაიონში დისლოცირებულ სამხედრო საჰაერო ძალების №02119 სამხედრო ნაწილის მეთაურის შ.ბუქურის მიერ უკანონოდ, არსებული წესების უგულვებელყოფით, სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე „სუ-24“ ტიპის ტურბორეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავის 7 ცალი რეაქტიული ძრავი ჩამოიწერა ჯართად და კომერციული სამმართველოს მეშვეობით უკანონოდ იქნა რეალიზებული კერძო

2

## აქა ამბავი პატიმრის სასამართლოდან გაქცევისა

2

## „სიჩას ესტ, ა სიჩას ნიეტუ?!“

3

## გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ

## ვინ გაიმარჯვებს 17 ივნისს — ედპ თუ თეატრალური ინსტიტუტი?

„თუ 17 ივნისს, 12 საათზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ გაათავისუფლებს ჩვენს კუთვნილ შენობას, ჩვენ იძულებულნი გავხდებით ძალა გამოვიყენოთ" – განაცხადა კინომცოდნე გიორგი დოლიძემ გუშინ თეატრალურ ინსტიტუტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე. მან ვრცლად ისაუბრა ედპ-სა და თეატრალურ ინსტიტუტს შორის 7 წლის განმავლობაში მიმდინარე დავაზე. გ.დოლიძის თქმით, ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მზად არის ყველანაირი მოლაპარაკებებისათვის, მაგრამ ედპ-ს ლიდერი არანაირ კონტაქტზე არ მოდის. მისივე თქმით, იმის გამო, რომ იჯარის შესახებ 4 წლის წინ დადებული ხელშეკრულების პუნქტებს ედპ არ ასრულებდა, რაც შენობის მოვლას, იჯარის თანხის გადახდას გულისხმობს (პარტიას 40 ათას $-მდე აქვს გადასახდელი) ინსტიტუტმა დაარღვია ხელშეკრულება. ა.წ. 18 თებერვალს სასამართლომ გამოიტანა ხელახალი დადგენილება გამოსახლებაზე, თუმცა, გ.დოლიძის თქმით, ეს არ ხერხდებოდა, სანამ არ ჩაერია იუსტიციის სამინისტრო და პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტი.

საგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე – რაში გამოიყენებს ინსტიტუტი გამოთავისუფლებულ 400 კვ.მ ფართს? გ.დოლიძემ უპასუხა, რომ იქ გაკეთდება აუდიტორიები, რათა სასწავლო პროცესი ნორმალურად წარიმართოს. ცნობილი გახდა, რომ ინსტიტუტის 20-მდე აუდიტორია კატასტროფულ ავარიულ მდგომარეობაშია. რაც შეეხება იმას, თუ სად წავა ედპ, გ.დოლიძემ განმარტა, რომ მათ მფლობელობაში რჩება შენობის მესამე და მეოთხე სართულები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ედპ-ს პოლიტიკურმა მდივანმა ირაკლი ქადაგიშვილმა კონკრეტული პასუხი გაგვცა – „ედპ არ გავა შენობიდან. 17 ივნისს, პარტიის მთელი შემადგენლობა შენობაში იქნება და ჩვენი მოქმედება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ქმედებებს მიმართავს პოლიცია". მისი თქმით, თეატრალურ ინსტიტუტს პრეტენზია აქვს პირველ სართულზე, რადგან იგი კომერციული მიზნებისათვის, კერძოდ, რესტორნის გასახსნელად სჭირდება. (იფრინდა)

## «პარლამენტმა უკანონობა დაამტკიცა»

გუშინ პარლამენტის სახალხო ფრაქციის წევრებმა პრეს-კონფერენცია გამართეს, რომელიც პარლამენტის მიერ 1996 წლის ბიუჯეტის ანგარიშის განხილვას მიეძღვნა.

ფრაქციის ლიდერის მ.გიორგაძის განცხადებით, წლების განმავლობაში პრაქტიკულად არ იცვლება ბიუჯეტის დამტკიცებისა და შესრულების პროცესი. მმართველ ძალებს არ სურთ დამნაშავეებს უხეში შეცდომებისათვის პასუხი მოსთხოვონ. მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობამ მოითხოვა 1995 წლის ბიუჯეტის შეუსრულებლობის საკითხის პროკურატურისათვის გადაცემა. მაშინ როდესაც ანალოგიური შეცდომებით შესრულებული 1996 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია. ფრაქციის ლიდერის აზრით, ეს ზოგიერთი პარლამენტარის დარღვევებში მონაწილეობის დაფარვის მიზნით კეთდება.

პრეს-კონფერენციის ორგანიზატორთა აზრით, არ შეიძლებოდა 1996 წლის ბიუჯეტის შესრულების განხილვა, რადგან ჯერაც არ გარკვეულა 1995 წლის ბიუჯეტიდან დახარჯული 92 მლნ. ლარის ბედი.

ფრაქციის წევრმა მ.ჯიბუტმა ჟურნალისტებს პუნქტების მიხედვით წარუდგინა კონტროლის პალატის ანგარიშში დაფიქსირებული, 1996 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა დარღვევა და აღნიშნა, რომ ქვეყანაში საფინანსო-საბიუჯეტო განუკითხაობა სუფევს. მისი თქმით, პარლამენტმა იგნორირება გაუკეთა კონტროლის პალატის დასკვნას და ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა უკანონობა დაამტკიცა. (იფრინდა)

# აქა ამბავი პატიმრის სასამართლოდან გაქცევისა

### საუბრობენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი

**ქ.თ.** – კი ბატონო, ხშირად მე ეჭვი მიჩნდება. საერთოდ, ის ხალხი, რომელნიც ასეთ კითხვას სვამენ, ნორმალურები არიან თუ არა?

მოდით, ვიმსჯელოთ. მოხდა ასეთი მართლაც სკანდალური ფაქტი. შინაგან საქმეთა მინისტრი ატარებს პრეს-კონფერენციას და აცხადებს, რომ აქ იყო ღალატი. ახლა უკვე დავრწმუნდით და ამაზე შემიძლია გარკვევით ვთქვა, რომ ეს წინასწარ დაგეგმილი გაქცევა არ იყო, მაგრამ, უნებლიედ ვინც ხელი შეუწყო პატიმრის გაქცევას, ის დაპატიმრებულია, მხილებულია ქრთამის აღებაში (არა გაქცევის ორგანიზებისთვის, არამედ შეხვედრის მოწყობაში აიღო ეს ქრთამი), სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში და უნდა წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე. ახლა როგორ შეიძლებოდა ამის ხელოვნურად გაკეთება, როგორ შეიძლება, რომ კაცს უთხრა – შენ გაალწიე თუ ძმა ხარ აქედან და მე თხუთმეტ წელიწადს სიამოვნებით მივიღებო. როგორ გინდა მოელაპარაკო პატიმარს, თუ ძმა ხარ გაინძერი, გადახტი, მერე ფეხი მოიტეხე, მერე სადღაც სარდაფში 3 დღე დაიმალე, შეიძლება გაქცევის დროს ვიღაცამ გესროლოს.

ამიხსენით ერთი, შეიძლება თუ არა ყველაფერ ამის ჩაწყობა?

ბოლოსდაბოლოს ბადრაგი, ჯარისკაცები, პოლიცია ხომ წინასწარ უნდა გაგვეფრთხილებინა, ე მანდ სამსონაშვილი ჩვენი ნებართვით გარბის და ღმერთი არ გაგიწყრეთ, ტყვია არ ესროლოთ არავინო, ამდენ ხალხს თუ გავაფრთხილებდით, ბარემ ტელევიზიით გამოვიდოდი და გამოვაცხადებდი, ხვალ პატიმარი უნდა გაიქცეს და მართლა გაქცევა არ გეგონოთ, ჩაწყობილია-მეთქი.

ასე რომ, ბატონო ნოდარ, ჭორის მოყვარულებმა ისეთი ტყუილი მაინც უნდა მოიგონონ, მცირეოდენი მოტივაცია რომ მაინც ექნება.

***ნ.გ.* – *როდესაც სასამართლო დარბაზიდან სამსონაშვილის გაქცევა მოხდა, იმ დღეს პრეზიდენტმა არ გისაყვედურათ?***

**ქ.თ.** – იცით, მე უშუალოდ არ ვყოფილვარ პრეზიდენტთან, ტელეფონზე გვქონდა საუბარი, მე ეს ინფორმაცია როგორც კი გავიგე, იმავე წუთში მივედი ადგილზე, წავიყვანე ოპერატიული ჯგუფი, დავალებები მივეცი და რა თქმა უნდა, უშუალოდ დავიწყე ამ საქმეზე მუშაობა სხვა ხელმძღვანელებთან ერთად. სასიხარულო არავისთვის ყოფილა ეს ამბავი, მაგრამ პრეზიდენტს არ ჩვევია ჩვენს საქმიანობაში ჩარევა... ჩვენ დავარწმუნეთ ის, რომ ჩვენის მხრიდან ყველაფერს გავაკეთებთ, რისი გაკეთებაც შეიძლება, რაც მოხდა ავუხსენით, რეალურად საქმის კურსში ჩავაყენეთ, ვუთხარი, რომ ღალატს ჰქონდა ადგილი და...

***ნ.გ.* – *თქვენ აღნიშნავთ, რომ წინასწარ დაგეგმილი არ იყოო, თუ არ იყო, მაშინ ღალატი რა თვალსაზრისით?***

**ქ.თ.** – ღალატი იმ თვალსაზრისით, რომ შეახვედრა ქალს. ოთახში გაიყვანა ყველა კანონის დარღვევით. ჯერ ამოიყვანა პატიმრები სასამართლო დარბაზის ოთახიდან, გვერდით ოთახში შეიყვანა, სადაც საერთოდ არ იყო დაცული გისოსებით და მიატოვა უყურადღებოდ. თვითონ დადგა კარების იქით, დააყენა დაცვა. ღია ფანჯრები იყო, ეს დაინახა სამსონაშვილმა, ჰქონდა გაქცევის საშუალება და...

***ნ.გ.* – *გამოდის, რომ ეს ყველაფერი მან ასე გულუბრყვილოდ გააკეთა?..***

**ქ.თ.** – როგორც ჩანს, გულუბრყვილობითა და უტვინოობით, არაკაცობით გააკეთა, თუ გინდათ სიმართლე, მაგრამ ფაქტი ასეა, წინასწარ რომ დაეგეგმა ეს გაქცევა, ახლა დავრწმუნდით, ასე არ ყოფილა.

ეს ყველა შემთხვევაში ღალატია.

***ნ.გ.* – *თქვენ ნახავდით ალბათ სამსონაშვილს აყვანის პერიოდში.***

**ქ.თ.** – მე მასთან კონკრეტული საუბარი არ მქონია. რამეთუ ესეც უკვე გამოძიების საკითხია, მე არ მინდოდა გამოძიებისთვის ხელი შემეშალა. რა თქმა უნდა, ვნახე, მაგრამ ის მოათავსეს პირველ იზოლატორში დაკავების შემდგომ.

***ნ.გ.* – *რატომ გეკითხებით – ეს სამი დღე ჭამდა რამეს, სარდაფში რომ იყო?..***

**ქ.თ.** – ფეხიც გადახვეული ჰქონდა, არა მარტო ჭამდა, ახლა დანარჩენის დაზუსტება უკვე ცოტა ისეთი საკითხია, რომელიც ჩვენს ოპერატიულ მუშაობას შეეხება.

***ნ.გ.* – *სამსონაშვილი თუ გაგექცათ, ჯაბას რამდენი ქომაგი ჰყავს, გამოდის, რომ თუ ჩაიფიქრა, გაიქცევა კიდეც სასამართლოდან...***

**ქ.თ.** – საერთოდ გამორიცხული არაფერი არ არის, ბ-ნო ნოდარ, ამის გამო ვამბობ მე, რომ ყოველგვარი გაუგებრობა აქ გამორიცხული უნდა იყოს, ყოველგვარი ალბათობა უნდა გამოირიცხოს. ერთ ფაქტს გეტყვით. იქ დემოკრატიულ ქვეყანაში, ერთ პიროვნებას ასამართლებენ და ათას ხუთასი პოლიციელი იცავს სასამართლოს და უფრო მეტიც, ახლა ამერიკაში ბლოკებით ჩაკეტეს სასამართლოს შენობა ირგვლივ. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ამ საკითხებზე ჩვენთან ერთად იფიქრებს სასამართლო ხელისუფლება, თუ სად და როგორ პირობებში უნდა ჩატარდეს სასამართლო.

***ნ.გ.* – *ჩვენი წინა საუბრების შემდეგ, რედაქციაში მობრძანდა გიგა გელაშვილის დედა, რომელმაც მთხოვა, მეც მაქვს სათქმელი, მინისტრს რომ ელაპარაკები ექემიტანილის დედასაც მოუსმინეო. თქვენ თუ კითხულობდით ჩვენს დიალოგებს?***

**ქ.თ.** – კი, ვკითხულობდი, ყოველ შემთხვევაში უმეტესობა წაკითხული მაქვს...

დასაწყისი იხ. „საქართველო" №37-53.

გაგრძელება იქნება

## გამოვლენილია თავდაცვის სამინისტროს მიერ დიდი ოდენობის სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები

პირველი გვერდიდან

ფირმებზე, ერთი ტონა 190 ამერიკულ დოლარად. სულ 7 ძრავი გაყიდული იქნა 1330 დოლარად.

სპეციალისტების დასკვნის საფუძველზე დადგენილია, რომ რეაქტიული ძრავი, თუ იგი ჯართად უნდა ჩამოიწეროს, მშრალი წონით შეადგენს 1100 კილოგრამს და როგორც ძვირფასი ფერადი ლითონების შემცველი, მისი სახელმწიფო ღირებულება შეადგენს 3300 დოლარს. ე.ი. 7 ძრავი გაყიდული იქნა ნაცვლად 23100 დოლარისა 1330 დოლარად. ამ ძრავების ნაწილი ძიების მიერ ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

ასეთივე წესით იქნა ჩამოწერილი და რეალიზებული მარნეულში დისლოცირებული სამხედრო აეროდრომიდან 89 რეაქტიული ძრავი, თითო ძრავი 190 დოლარად, რითაც პირებმა სახელმწიფოს მიაყენეს 300000 დოლარის ზარალი.

გამოძიების პროცესში გამოვლინდა სახელმწიფო ქონების 1 მილიონ 200 ათასი დოლარის დატაცების ფაქტი თავდაცვის სამინისტროს კომერციული სამმართველოს უფროსის ა.ჯავახიშვილის მიერ.

კერძოდ, თავდაცვის სამინისტროს კომერციულმა სამმართველომ 1996 წლის 16 აგვისტოს ჰოლანდიურ კომპანია „გლენკორ გრეინ როტერდამთან" და 1996 წლის 26 აგვისტოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სააქციო კომერციულ ბანკ „თბილკრედიტბანკთან" გააფორმა კონტრაქტები, რომელთა საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს კომერციულმა სამმართველომ 1996 წლის 3 ოქტომბერს ფოთის პორტში შემოიტანა 25709 ტონა ხორბალი, საერთო ღირებულებით 7449 254 ლარი. აღნიშნული ოპერაციის გარანტად გამოვიდა საქართველოს ეროვნული ბანკი, რომელმაც მომწოდებელს გადაურიცხა ხორბლის ღირებულება. აღნიშნული თანხა ეროვნულ ბანკს უნდა დაბრუნებოდა 1997 წლის იანვრამდე.

თავდაცვის სამინისტროს კომერციულმა სამმართველომ 1996 წლის 18 ნოემბერს 1 მილიონ 200 ათასი დოლარის ღირებულების 5051 ტონა ხორბალი შეიტანა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ბაქოს №1 პურპროდუქტების კომბინატში. ა.ჯავახიშვილმა ბაქოს პურპროდუქტების კომბინატში შეტანილი ხორბლის მთლიანი ღირებულება 1 მილიონ 200 მიიღო ხელზე, მიითვისა და გაიტაცა. ი.ჯავახიშვილი 1997 წლის 26 თებერვლიდან 7 დღით მივლინებული იქნა ბაქოში, საიდანაც არ დაბრუნებულა და მისი ადგილსამყოფელი დღემდე დაუდგენელია.

თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ აპრილის თვეში ჯავახიშვილი გადაყენებულია თანამდებობიდან სამსახურში გამოუცხადებლობის მოტივით. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ რამოდენიმეჯერ წერილობით სთხოვა ეროვნულ ბანკს ხორბლის შემოტანასთან დაკავშირებული დავალიანების დაფარვის გადავადება, რაზეც ეროვნულმა ბანკმა უარით უპასუხა და დაუწესა ვალის დაფარვის მკაცრი გრაფიკი, რაც დღემდე არ შესრულებულა.

ჯავახიშვილზე გაცემულია დაპატიმრების სანქცია საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ. გამოძიება გრძელდება.

ინფორმაცია აგებულია საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის მიერ მოწოდებულ მასალაზე (ბი ჯი აი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წაიკითხეთ, მხოლოდ ნუ აჯანყდებით...

## საქართველოს პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

### შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების საზღვარგარეთ გატანის შესახებ

კომისია დაინტერესდა შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების საზღვარგარეთ გატანის საკითხით, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ბატონ ავთანდილ მარგიანის მოღვაწეობას ვიცე-პრემიერის პოსტზე.

1993 წლის 31 მარტს მინისტრთა კაბინეტის №265 დადგენილებით აკრძალულ იქნა შავი და ფერადი ლითონების საზღვარგარეთ გატანა.

1994 წელს შავი და ფერადი ლითონების ჯართის გატანამ საზღვარგარეთ მასიური ხასიათი მიიღო. აღნიშნულის გამო 1994 წლის 21 ივლისს მინისტრთა კაბინეტმა მიიღო №474 დადგენილება. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „ადგილი ჰქონდა და აქვს სახელმწიფო ობიექტებიდან ფერადი ლითონების დიდი რაოდენობით დატაცების ფაქტებს. დაიტაცეს და განადგურდა დიდი რაოდენობით ძრავები, სატრანსპორტო და ელექტროხაზები, მწყობრიდან გამოეიდა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო ობიექტები".

აღნიშნულ გარემოებათა გამო მინისტრთა კაბინეტის ამ დადგენილებამ ძალაში დატოვა შავი და ფერადი ლითონების საზღვარგარეთ გატანის აკრძალვა. დადგენილების მე-2 პუნქტში მითითებულია: „მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 31 მარტის №265 დადგენილებით აკრძალულია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების გატანა".

დადგენილების მე-4 პუნქტში აღნიშნულია, რომ „საქართველოს საზღვაო-სანაოსნო დეპარტამენტმა ფოთისა და ბათუმის პორტებიდან კატეგორიულად აკრძალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების გარეშე შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების პორტში შეტანა და გაგზავნა რესპუბიკის ფარგლებს გარეთ". ამ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე მინისტრთა კაბინეტის დადგენილებამ ფაქტიურად გააუქმა წინა დადგენილების კატეგორიული აკრძალვა საზღვარგარეთ ფერადი და შავი ლითონების ჯართის გატანის და დააწესა, რომ ეს უნდა მომხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით.

ასეთ ვითარებაში 1994 წლის 17 აგვისტოს კერძო ფირმა „მედიკოსი"-ს პრეზიდენტმა ლენგო კოჩაძემ წერილით მიმართა პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ავთანდილ მარგიანს, რომლითაც ითხოვდა 30000 ტონა ჯართის თურქეთის რესპუბლიკაში გატანას, სანაცვლოდ პირობას დებდა, რომ შემოიტანდა რესპუბლიკაში 5000 ტონა ხორბალს, შეღავათიან ფასებში.

გაგრძელება მე-5 გვ.

დასაწყისი იხ. „საქართველო" №53.

# „სიჩას ესტ, ა სიჩას ნიეტუ?!"

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ცნობილია, ქართული მხარის აბსოლუტურად ლოგიკური და სამართლიანი მოთხოვნა - მიიღოს თავისი წილი შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაყოფისას - რუსულმა მხარემ, სახელდობრ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ჩვენთვის არც-თუ მთლად უცნობმა ბორია პასტუხოვმა, პოლიტიკურ შანტაჟად გამოაცხადა!..



გასაკვირი ამაში ბევრი არაფერია (რა ქნას, ნოდარ დუმბაძის საწყალი ბეჟანასი არ იყოს, რუსეთი დიდია, დიდი მუცელი აქვს და მისი ფიქრით, მთლიანად მას ეკუთვნის. ყოველი შემთხვევისთვის, ცოტას უკრაინასაც წაუტეხავს), მაგრამ გაუგებარი ერთია: როცა სესერეკას ერთად ვაშენებდით, ქართველები ტოლს არავის უდებდით და, როცა აშენებულს ვიყოფთ, ვითომ რატომ არაფერი გვერგება?!

რაც მთავარია, სოციალიზმს (მათ შორის, შავი ზღვის ფლოტსაც!) ხალხთა დიადი მეგობრობის დროშით ვაშენებდით და, თანაც, ისე გახლდით იმ ძმური მეგობრობით გაბრუებულნი, ყურს სულაც არ ეხამუშებოდა იმავ ხანებში დაბადებული და მთელს საბჭოეთს მოდებული რუსული ანდაზა: „ნე იმეი სტო რუბლეი, ა იმეი სტო დრუზეი!" რავა მოგწონთ: „სტო რუბლეის" ნაცვლად „სტო დრუზეი!" ანუ თითო მეგობარი თითო მანეთად!.. ჭეშმარიტად რუსთველისნაირადაა შეფასებული მეგობრობის ყადრი!..

საერთოდ, საგანგებოდაა შესასწავლი რუსული სასიმღერო ფოლკლორი, ეგრეთ წოდებული „ჩასტუშკები". ერს, რომელსაც ყოველად შეუნიღბავი მტაცებლური ზრახვები ოდითგანვე ჰქონდა (ამ მხრივ, მარტო ქალაქების სახელწოდებები რად ღირს: „ვლადიკავკაზ", „ვლადივოსტოკ", ან, სულაც „ვლადიმირ"-ვლადეი კავკაზომ, ვლადეი ვოსტოკომ, ვლადეი მირომ!), ერთი სიტყვით, მუდამ სხვათა მიწა-წყალზე ეჭირა თვალი, ვერ მოსთხოვ, ცხვრის ქურქი მოისხას! მიჩვეულს იოლად ვერ გადააჩვევ! მთელი მეოთხედი საუკუნე საბჭოური საესტრადო ანსამბლები მქუხარებით ასრულებდნენ სიმღერას, რომლის ტექსტში სრულიად აშკარადაა გაცხადებული რუსისათვის დამახასიათებელი ბუნება: „მოი ადრეს ნი დომ, ი ნი ულიცა, მოი ადრეს: სოვეტსკი სოიუზ!" ხედავთ, როგორი პრეტენზია აქვს გამელავნებული იოსებ ჯუღაშვილისაგან „დიდ ერად" აღიარებულ ხალხს საკუთარ საცხოვრისად მთელი საბჭოეთის გამოცხადებისა! მღეროდა არხეინად ამ სიმღერას კალუგელი, რიაზანელი თუ სარატოველი რუსი და ნებისმიერი ქართველის (ასევე, სომხის, უზბეკის, ყირგიზის და ა.შ.) „ჟაკტის ბინა" საკუთარ ბინადაც ეგულებოდა!..

ოპონენტს ადვილად შეუძლია შემოგვედავოს: მერედა, რაღა მაინცდამაინც რუსს გულისხმობთ ამ კონტექსტში, ხომ შეეძლო იგი ტაჯიკსაც ემღერა, ლიტველსაც და ქართველსაც!.. კი შეეძლო, მაგრამ, მაშინ ის არ იქნებოდა არც ტაჯიკური, არც ლიტვური და არც ქართული სიმღერა!.. არ იქნებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ არამშობლიურ ენაზე შესრულდებოდა, არ იქნებოდა იმიტომაც, რომ ტაჯიკისათვის ტაჯიკეთია (თუ ჩავუღრმავდებით, - ირანი!) დედულ-მამული, ლიტველისათვის - ლიტვა, ხოლო ქართველისათვის სამშობლო რაჭაა („შეხედე, რა ცაა!"), ვერ გავკადნიერდები და ქართველ მკითხველს ვერ განვუმარტავ!..

დავუბრუნდეთ შავი ზღვის ფლოტს!

ერთი სიტყვით, სოციალიზმის მშენებლობის დროს, თუ ჯილდოდ მიღებული ლენინის, წითელი დროშისა თუ წითელი ვარსკვლავის ორდენების რაოდენობით ვიანგარიშებთ - საქართველო ავანგარდში გახლდათ („სიჩას ესტ!"), ხოლო, როდესაც, ჯერ კიდევ ნადიბაიძის ნათლულიდან მოყოლებული, ავადსახსენებელი როდიონოვისა თუ ვინმე სერგეევის მინისტრობისას, შავი ზღვის ფლოტს იყოფენ, საქართველო აღარაფერ შუაშია?! („ა სიჩას ნიეტუ?!").

როგორ არ გაგახსენდება ამ დროს კვანტალიანისა და გოძელაურის შესრულებით იოსიფ ბროზ ტიტოს განმაქიქებელი საესტრადო „კუპლეტები": „ეგრე არაა, თაყაო, შენ რო მამული გაყაო!.. ტიტო, ტიტიკო, ტიტოო, თითი არ წაიკვნიტოო!"

მაშინ იოსებ სტალინმა მართლაც წააკვნეტინა თითი იუგოსლაველ დიქტატორს, მაგრამ ეს, ხარმა რომ ხარს ურქინა და უკეთეს ბაგაზე მიაგდო, იმას უფრო ჰგავდა!.. თუმცაღა, სესერეკას კვალდაკვალ იუგოსლავიის ფედერაციაც თვალსა და ხელს შუა დაიშალა!..

ახლა, ერსაც და ბერსაც, მგონი, ერთი სული გვაქვს, ჩვენც წავაკვნეტინოთ თითი „უფროს ძმას!". აი საკითხი №1, რომელიც ექსტრემალურ გადაჭრას მოითხოვს და არა - ოპერატიულს!

ნათქვამია, ტარანი ანგარიშითააო. ძალიანაც გვესიმპათიურებიან ქართველებს უკრაინელები, მაგრამ ძმა რომ ძმა არის, ისიც ერთობ შეწუხდებოდა, გაყოფისას რომელიმე ძმისთვის რომ წილი არ მიეცათ.

შავი ზღვის ფლოტში თავისი წილი აქვთ რუსეთსაც, უკრაინასაც და საქართველოსაც. ბუნებრივია, ყველაზე პატარა წილი ექნება საქართველოს, უფრო მეტი - უკრაინას და საგრძნობლად დიდი - რუსეთს. მაგრამ ამის თაობაზე არც არავინ დაობს.

რაღა მაინცა და მაინც ამ შავი ზღვის ფლოტზე მოსდით ელეთ-მელეთი! რომელ საერთაშორისო სამართლის კოდექსს იშველიებენ რუსები, როდესაც კატეგორიულად აცხადებენ, საქართველოს ფშიკიო!

საერთო-სახალხო დოვლათის გაყოფისას უწილოდ არავინ უნდა დარჩეს. სომხეთი რომ სომხეთია, სრულიად მოწყვეტილი საზღვაო სივრცეს, თუ სადმე სამართალია, რაღაც წილი მასაც ეკუთვნის, თუნდაც ფულადი კომპენსაციის სახით! გემი თუ არ სჭირდება, თვითმფრინავი მიეცი.

ძალიან ღრმად ჩაგერჩა მეხსიერებაში ბორის ელცინის კატეგორიული განცხადება, რომელიც მან ამ სამიოდე წლის წინათ გააკეთა: „ჩერნომორსკი ფლოტ ბილ ი ოსტაიოტსა როსიისკიმ"

უკრაინამ - არაფერი შეგეშალოთო და ასევე კატეგორიულად მოითხოვა თავისი წილი. მოითხოვა და მიიღო კიდევაც!

ჩვენ რა ყმაწვილური სიმორცხვე გვჭირს, ვერ გამიგია!

თუ რუსეთი იმას გვახსენებს, რომ ფოთში შემოსულმა ბალტიის კრეისერებმა ექსპრეზიდენტის მომხრეებს კუდით ქვა ასროლინესო, და ჩვენს წილ ფლოტს იმაში გვიქვითავს, ლოგიკურობას მოკლებული მოტივირებაა, რადგან, ჯერ ერთი (ვისაც ნებავს, ნიძლავს დაეუდებთ!), რუსეთი იმ პრეზიდენტის მომხრეთაც გვერიანად ეხმარებოდა („ქვეც ამოუჟლეტიათ ერთმანეთი!") და, მეორეც, - ის, რაც ორივე მხარისათვის ერთობლივ პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენდა, შეუძლებელია, ერთ-ერთმა მხარემ ოდესმე კონტრარგუმენტად გამოიყენოს!..

ხოლო, თუ ისე დაწერილმანდებიან და ზეპირ გარიგებაზე ჩამოგვიგდებენ სიტყვას, სასაცილოდაც არ იკმარებს, რადგან სერიოზულ პოლიტიკაში არ არსებობს „ზეპირი გარიგება"! პოლიტიკა პოლიტიკაა, ბატონებო, და არა: მომიტეხე ყველი და მოგიტეხავ მჭადს!.. იგივე მახარაშვილი გავიხსენოთ: „დოკუმენტ, სლუში, დოკუმენტ!"

მაგრამ: იძახე, რამდენიც გინდა, დოკუმენტ, დოკუმენტო!..

აყარე, რამდენიც გინდა, კედელს ცერცვი!..

იკითხე, რამდენიც გინდა, მგლის თავზე სახარება!..

უმტკიცე, რამდენიც გინდა, - მე ქვევითა ვარ, შენ ზევითო!..

როდის მოუშლია მგელს მგლობა, ახლა რომ მოიშალოს!..

*P.S. ამბობენ, „კავკასიური ნაგაზი" ერევაო მგელს!..*

*ეს უწინაც გამეგონა, მაგრამ ახლა ნამეტანი ხშირად მოისმენთ!*

*ეტყობა, კავკასიური ნაგაზი თუ უშველის საბრალო კრავს, სხვა ვერაფერი.*

**მიზო ზარნაძე**

## თ.კიკაჩეიშვილი: თუ ხელისუფლებაში მოვედით, არავითარი დახვრეტა არ იქნება

ᲒᲣᲨᲘᲜ, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანების „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" ლიდერებმა პრეს-კონფერენცია გამართეს. მათ ჟურნალისტებს გააცნეს მიმართვა პარლამენტისადმი, რომელშიც 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების დაუყოვნებლივ სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას მოითხოვენ.

როგორც „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" სპიკერმა თენგიზ კიკაჩეიშვილმა განაცხადა- „ჩვენ არ გვინდა გამოვიდეთ ისეთ ძალად, რომელსაც ქვეყანაში დესტაბილიზაცია სურს. უნდა მოხდეს ერის შერიგება და გაერთიანება, რის შანსსაც ვაძლევთ ე.შევარდნაძეს". რაც შეეხება რუსეთის სამშვიდობო ძალებს, თ.კიკაჩეიშვილის აზრით, მიუხედავად პარლამენტის მრავალრიცხოვანი დადგენილებებისა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რუსეთის ჯარი ამჯერადაც საქართველოში დარჩება და არსად არ გავა, სანამ ე.შევარდნაძე იქნება საქართველოში.

სააგენტოს კორესპონდენტის კითხვაზე, რას იმოქმედებს „მრგვალი მაგიდა", თუ იგი ხელისუფლებაში მოვა, დისკრიმინირებული იქნებიან თუ არა ახლანდელი ხელისუფალნი, თკიკაჩეიშვილმა აღნიშნა - „თუ ხელისუფლებაში მოვედით, არავითარი დახვრეტა არ იქნება, არსებობს კანონი, რომელმაც უნდა იმოქმედოს, რაც იყო, იყო, ჩვენ მათ შევუნდობთ". (იფრინდა)

## აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭო კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას მოითხოვს

ᲒᲣᲨᲘᲜ, აფხაზეთის ა/რ უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც დაფიქსირებულია უმაღლესი საბჭოს უარყოფითი დამოკიდებულება კონფლიქტის ზონაში მყოფი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებისადმი.

განცხადების ავტორები თვლიან, რომ სამშვიდობო ძალები სეპარატისტთა ინტერესების დამცველებად გვევლინებიან. მათი მონაწილეობით ტარდებოდა და ტარდება დამსჯელი ოპერაციები აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობის მიმართ. რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის პერიოდში მხოლოდ გალის რაიონში 1200-ზე მეტი მშვიდობიანი ქართველი მოსახლე დაიხვრიტა. გარდა ამისა, რუსი ჯარისკაცები, სხვადასხვა საბაბით, სისტემატურად ძალავენ ფულს ადგილობრივ ქართველობას. დაფიქსირებულია სამშვიდობო ძალების მიერ საქართველოდან, კერძოდ, აფხაზეთიდან, ფერადი ლითონების, ჯართის, მარმარილოს, ხე-ტყის და სხვა სიმდიდრეების გატანის უამრავი ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადების ავტორები მოითხოვენ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას, რადგან ისინი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფენ კონფლიქტის მშვიდობიან პოლიტიკურ-სამართლებრივ გადაწყვეტას. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

• დღიურები

# რევაზ მიშველაძე
# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

### 31 ივლისს საქართველო ერთხმად მიიღეს „გაეროში“.

10/VII — 5/VIII,92 წ.

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო სრულფასოვან სახელმწიფოდ ჩათვალეს.

ამჯერად რუსეთმაც ხმა მოგვცა.

უეჭველია, „გაეროში“ ჩვენი მიღება შევარდნაძის ავტორიტეტმა განაპირობა, მაგრამ მე სიხარულთან ერთად შიშიც მიპყრობს.

რით „დაბა“ რუსეთი შევარდნაძემ? ხომ არ დაპირდა ელცინს სანაცვლოდ–

ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი ეჭვი გამართლდეს.

აღდგა ზვიადის მიერ აკრძალული (არაოფიციალურად) სახალხო დღესასწაულები და მათ შორის ვაჟაობა.

1 აგვისტოს მწერლები ჩარგალში გავემგზავრეთ პატარა ავტობუსით („რაფს“ ეძახიან“):

რ.ჭეიშვილი, დ.მჭედლური, ტ.ჭანტურია, ი.ქემერტელიძე, ლ.მრელაშვილი, გ.ბენაშვილი, ვ.ღლონტი, შ.ხოდაშნელი, მე და კომპოზიტორი შალვა დავითაშვილი.

ჩარგალში მზიანი დღეა. ბევრი ხალხი მოვიდა. სახლ-მუზეუმის დირექტორმა – ვაჟას შვილიშვილმა – ალექსი რაზიკაშვილმა – ბოლო ორი წელი იმიტომ ვერ ჩავატარეთ ვაჟაობა, რომ ზვიადმა აგვიკრძალაო (?!). ამის ახსნა ჩემს გონებას არ ძალუძს.

რ.ჭეიშვილმა, დ.მჭედლურმა და მე სიტყვები ვთქვით. არაზიკაშვილმა აივანზე სუფრა გაგვიშალა. იქვე იყო ვაჟა ადამიაც.

გურამ ბენაშვილი შეზარხოშდა. მოვიდა, უსიტყვოდ გადამეხვია, გადამკოცნა და მითხრა: ვიცი, რაც მაქვს შენთან ნაჭამი, მაგრამ უნდა მაპატიოო – ხუტას და მუხრანის მეთაურობით ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას გულისხმობდა.

ვერაფერი ვუთხარი.

დღეს (5 აგვისტო) „განთიადში“ პაოლო იაშვილზე ავთანდილ ნიკოლეიშვილის წერილს ვკითხულობდი და ბევრი რამ მენიშნა ჩემი ბიოგრაფიიდან. პაოლოს, ლამის, მთელი მწერალთა კავშირი დაესხა თავს, მოღალატე და ჯაშუში ხარო.

მახსოვს ჩემს წინააღმდეგ მუხრან მაჭავარიანის და ხ.ბერულავას ბრძოლის კამპანია. ჯერ რედკოლეგიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება „ახკომში“ ხუტას და მუხრანის მეცადინეობით, უარყო გრიშა ჯულუხიძის გარდა რედკოლეგიის ყველა წევრმა – გ.გაჩეჩილაძემ, ე.კვიტაიშვილმა, ს.სიგუამ, გ.გვერდწითელმა, გ.ბენაშვილმა.

ტვინში სისხლი კინაღამ ჩამექცა. ნუთუ ასე ადვილად შეიძლება გაგყიდონ და უნამუსოდ იცრუონ-მეთქი შენმავე ძმაკაცებმა.

ამ „სპექტაკლის“ ბოლო წევრი – გ.ბენაშვილი ჩარგალში შემირიგდა.

რა ამაზრზენი დღეები მქონდა, მუხრანი და ხუტა „კრიტიკიდან“ რომ მაგდებდნენ. პრეზიდიუმის სხდომაზე მუხრანმა მოიწვია „კაგებეს“ აგენტი სამი მწერლუკა. უკვე გაშიფრული სუკის თანამშრომლები დარაზმა ჩემს წინააღმდეგ.

მარტო მაშინ კი არა, მერეც არაერთგზის გამოიყენა ჩემს წინააღმდეგ მუხრანმა ერთგული „სამეული“.

დრო ყველაფერს ჰკურნავს?

არა მგონია.

რა დამავიწყებს ზ.გამსახურდიას მიერ ჩემს წინააღმდეგ ორგანიზებულ ვირთხა თ.ქორიძის საზიზღარ წერილს და ერთი კვირის შემდეგ მუხრანის და ხუტას მიერ ჩემს ჭურდულად მოხსნას კონსულტანტის ნახევარი შტატიდან.

ახლა ვერ მერევიან, თორემ ახლაც ბალღამი აქვთ სულში. თ.წივწივაძემ მითხრა, რა დაუშავე ორ „მეგობარ“ პოეტს – თავი მოიკლეს და „ლიტერატურულ გაზეთის“ რედკოლეგიაში შენი თავი არ შემაყვანინესო. რა მოტივით-მეთქი – ეგაო, ჭკუის სწავლებას დაგვიწყებსო.

შური! როდის იყო ვინმეს ჭკუას ვარიგებდი. ჩემი ნაკლი ეს არის, რომ პირში თქმა მიყვარს.

### აფხაზეთში შესვლა

6/VIII — 23/VIII,92 წ.

ზუგდიდში მოსალაპარაკებლად ჩასული შინაგან საქმეთა მინისტრი გვენცაძე და მისი თანმხლები პირნი დააპატიმრეს.

14 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოვაქვეყნე დიდი სტატია სათაურით: „რა გადაარჩენს საქართველოს“? სხვათაშორის, ვწერდი ახალი ხელისუფლების ღირსებებზე და ნაკლზეც.

14 აგვისტოს საქართველოს ეროვნული არმია კიტოვანის წინამძღოლობით აფხაზეთში შევიდა.

გაიმართა ბრძოლები.

იხოცება ხალხი.

მე ტელევიზიით მხარი დავუჭირე ქართული ჯარის შესვლას საქართველოში (აფხაზეთში) და ვთქვი, კი არ უნდა შესულიყო, თავიდანვე იქ უნდა მდგარიყო-მეთქი. აფხაზეთი საქართველოა და ქართული ჯარი, აბა, სად უნდა იყოს-მეთქი.

გარეწარმა არძინბამ (რიოდე კვირის წინ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა და დამოუკიდებლობა რომ გამოაცხადა) უკანასკნელ ღონეს მიმართა – აგვიმხედრა გულუბრყვილო, უკულტურო და უწარსულო აფსუები. თვითონ გუდაუთაში გამაგრდა.

შევარდნაძე შიშმა შეიპყრო, რაკილა ელცინმა განაცხადა, მე კატეგორიულად მოვთხოვე შევარდნაძეს, მაგრამ არ გამოჰყავს ჯარებიო. ეს ნიშნავს, რომ რუსი კვლავ ვერაგობს, არ გვეხმარება ჩვენი ტერიტორიის დაცვაში, მაშინ, როცა ეს ფუნქცია მან იკისრა დაგომისის ხელშეკრულებით და თავისი წყეული ჯარები აქა ჰყავს.

ელცინის განცხადებით გულმოცემული ჩრდილოეთი კავკასია საქართველოს დასალაშქრავად ერთიანდება. „მთიელთა კონფედერაციამ“ შეკრიბა მოხალისეთა ლაშქარი და 23 აგვისტოდან საომარი მდგომარეობა გამოგვიცხადა.

ჩვენ კი ჯერ საყოველთაო მობილიზაციასაც არ ვაცხადებთ.



დავურეკე ვახტანგ გოგუაძეს: რას ელოდებით, სასწრაფოდ გამოაცხადეთ მობილიზაცია, მიმართეთ „გაეროს“, „ნატოს“ (ჯონი შალიკაშვილი), მოგვაშველონ ჯარები, თორემ რუსეთი ახლა უკვე ჩრდილოეთ კავკასიის ხელით ჩვენს დაპყრობას აპირებს-მეთქი.

ვეტყვი შენს აზრს შევარდნაძეს, დამპირდა.

უთხრა? ვინ იცის.

შედეგი არ ჩანს.

### ???

24/VIII — 26/VIII, 92 წ.

25 აგვისტოს რადიოში გამოვედი და ვთქვი, რატომ ბოლომდე არ ვიცით საქმის მიყვანა, რად ველოლიავებით არძინბას – მან ხომ ეს ომი წამოიწყო-მეთქი.

26-ში დილით ჩემმა ცოლმა ოდნავ გამოაღო კარი და კარზე გამობმული მავთული შენიშნა. დავუძახეთ მილიციას.

მოვიდნენ. გამზადებული ხელყუმბარა აღმოჩნდა. თუ კარს ბოლომდე გამოვწევდით, აფეთქდებოდა.

აი ტერორიც! ეს ან ზვიადისტების გაკეთებულია, ან აფხაზი ტერორისტების, ან ჩვენი საყვარელი ხელისუფლების. არცერთს არ ვეხატები გულზე.

მე სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ ჩემი ოჯახის წევრებს რაღას ერჩოდნენ?

### ელცინმა ახლადგამოღვიძებულის სახე მიიღო

26/VIII — 2/IX, 92 წ.

აფხაზეთში ომი დღითიდღე ფართო მასშტაბებს იძენს.

როგორც ჭრელი გველები, ისე გადმოდიან საქართველოს დასაპყრობად ჩრდილოეთკავკასიელი ბნელი, მუსლიმანური ტომები.

იღუპებიან ქართველი ბიჭები. ჩემი შვილი 31-ში დაბრუნდა გაგრიდან. ჰყვება, ათიოდე, რუსების მიერ მოწყალებად მოგდებული ძველი თუხთუხა ტანკი გვაქვს და სამ ჯარისკაცზე ერთი ავტომატიო.

დღეს, 1 სექტემბერს, 60 ცხედარი ჩამოასვენეს ანგელოზივით ქართველი ბიჭების.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი მსოფლიო ჩვენს მოსპობას ცდილობს.

15 აგვისტოს რუსებმა 1000 ავტომატი „ჩუქეს“ აფხაზებს (გამოაცხადეს, წაგვართვესო?!), ხოლო 31 აგვისტოს გუმისთასთან რუსებმა ცეცხლი გაგვიხსნეს. სულმა წასძლიათ ქართველთა დახოცვისაკენ. აქამდე აფხაზ-ჩეჩენთა ზურგს ეფარებოდნენ, ახლა ვეღარ მოითმინეს და გვესროლეს.

შევარდნაძემ ელცინს პროტესტი განუცხადა. ელცინმა ახალგამოღვიძებულის სახე მიიღო, მე არაფერი ვიცოდიო.

გუდაუთას აწი რაღას ავიღებთ. ხვალ ელცინთან შეხვედრაა. რას დაავალებენ შევარდნაძეს? რით შეკრავენ ჩვენს არმიას ხელ-ფეხს?

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48,49,50,51,52,53.

## ფედერალური საბჭო შეშფოთებას გამოთქვამს

რუსეთის ფედერალურმა საბჭომ დაამტკიცა პრეზიდენტ ელცინის გადაწყვეტილება სამშვიდობო ძალების კონფლიქტის ზონაში 31 ივლისამდე ყოფნის შესახებ და აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო მისიის სავარაუდო შეწყვეტასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა.

ფედერაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, კონფლიქტის ზონაში 1994 წელს შეყვანილი სამხედრო კონტიგენტი არ უნდა აღემატებოდეს 3000 კაცს, ფედერალური საბჭოს მონაცემებით კი კონფლიქტის ზონაში 10 ივნისისათვის 1 სადესანტო საპარაშუტო და 2 მოტომსროლელთა ბატალიონი, უზრუნველყოფის ქვედანაყოფი და ვერტმფრენთა რაზმია განლაგებული, სულ 1500 სამხედრო მოსამსახურე. (მოამბე–ექსქლუზივ–პრესი)

## ტულეევი მანდატის გაგრძელების მომხრეა

ქართულ–აფხაზური კონფლიქტის მოგვარებისათვის საჭიროა თბილისსა და სოხუმს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, რომელიც ანალოგიური იქნება რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის ხელმოწერილი დოკუმენტისა – განაცხადა რუსეთის ფედერაციის დსთ–ს ქვეყნებთან თანამშრომლობის მინისტრმა ამან ტულეევმა ინტერფაქსისათვის მიცემულ ინტერვიუში.

შეეხო რა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელების აუცილებლობის საკითხს, ტულეევმა განაცხადა, რომ სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში მას შესაძლებლად მიაჩნია კონფლიქტის ახალი ძალით განახლება.

მისივე თქმით, კონფლიქტის სრულ პოლიტიკურ მოწესრიგებამდე აუცილებელია კოლექტიური სამშვიდობო ძალების ქართულ–აფხაზური კონფლიქტის ზონაში ყოფნა (მოამბე–ექსქლუზივ–პრესი)

## სერგეი შამბა და იუსუფ სოსლანბეკოვი რევიზიას შეეცადნენ

გუშინ, რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკის კომიტეტში რუსეთ–აფხაზეთის ურთიერთობების გამართულ მოსმენაზე აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენელი იუსუფ სოსლანბეკოვი შეეცადნენ აფხაზეთზე დსთ–ს ქვეყნების საბაზო გადაწყვეტილებების რევიზიას.

მწვავე დისკუსიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლების მიერ არგუმენტირებული დასაბუთების შემდეგ განხილულ საკითხთან დაკავშირებით კომიტეტის გადაწყვეტილების მიღება გადაიდო.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ აღნიშნულ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები წერილობით წარმოადგინონ. (მოამბე ექსქლუზივ–პრესი)

## პრესკონფერენცია ტრანსპორტის პროკურატურაში

ტრანსპორტის პროკურორმა ნ.შოშიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გააცნო საბრალდებო დასკვნა „თბილსრესი“–ს ყოფილი გენერალური დირექტორის ბადრი დარჩიასა და სხვათა მიმართ.

ბადრი დარჩიამ, 1994 წლის მარტიდან 1996 წლის მაისამდე ამ თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში ისარგებლა საქართველოში შექმნილი მდგომარეობით და საწვავ მაზუთზე არსებული მწვავე დეფიციტის დროს, მის მიერ შექმნილ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად დაიტაცა 4577619 ლარის ღირებულების 54173 ტონა საწვავი მაზუთი. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოში მაზუთი ჰუმანიტარული და კრედიტის გზით შემოდიოდა. 1994 წლის დასაწყისში რუსეთის მთავრობამ პირველად 5 მილიარდი, მეორედ კი 9,5 მილიარდი რუბლი გამოყო.

როგორც ნ.შოშიაშვილმა განაცხადა, იმ პერიოდში, ასეთი წვალებით შეძენილი ენერგორესურსები თვითნებურად იყო მიშვებული მთავრობიდან დაწყებული თბილსრესით დამთავრებული. მისივე თქმით, ინვენტარიზაციის შედეგად, სათბობ–სატრანსპორტო საამქროში 3292 ტონა მაზუთი ჩამოწერილად და გახარჯულად იყო ნაჩვენები. მაზუთის რეალიზაცია რკინიგზის ტრანსპორტის მეშვეობით, უმეტესად იმერეთის რეგიონში ხდებოდა.

ბ.დარჩია პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის კოდექსის 96 პრიმა, 160 მუხლის მეორე ნაწილით მასთან ერთად სამართალშია მიცემული 14 კაციანი ჯგუფი. ნ.შოშიაშვილის თქმით, გამოძიების პერიოდში, რომელიც 8 თვე მიმდინარეობდა, იყო ხელისშემშლელი პირობები. მისივე თქმით, თუ ბოლო არ მოეღო ამ გაუთავებელ შუამდგომლობებს და ტელეფონის ზარებს, არაფერი გამოვა. აღსანიშნავია, რომ ბ.დარჩიას გათავისუფლების შუამდგომლობას ხელს აწერდა 37 დეპუტატი. „არ შეიძლება ხელი მოითხო ხალხის გაჭირვებაზე“ – განაცხადა ნ.შოშიაშვილმა. (იფრინდა)

# დაისჯება ყველა დამნაშავე

აფხაზეთში კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საქართველოში იმყოფება იუნესკო-ს ექსპერტთა ჯგუფი.

გუშინ ექსპერტები, ბ-ები ლემერი და ბოგარტი პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ რ.მიმინოშვილმა მიიღო. მისი თქმით, აფხაზეთის კონფლიქტის დროს, კულტურის ძეგლებთან მიმართებაში დაფიქსირებულია ვანდალიზმის ფაქტები და მათი დანგრევისათვის დაისჯება ყველა დამნაშავე, მიუხედავად იმისა, თუ ვის მხარეზე იბრძოდა იგი.

როგორც სტუმრებმა აღნიშნეს, მათი საქართველოში ვიზიტი პოლიტიკურ ინტერესებს არ ისახავს მიზნად. მათ განზრახული აქვთ შეძლებისდაგვარად დააფიქსირონ აფხაზეთში მდებარე კულტურული ძეგლების მდგომარეობა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ქართველ ექსპერტებს უარი განუცხადა ექსპედიციაში მონაწილეობაზე, რამაც შეიძლება ვანდალიზმის ფაქტების დამახინჯება, ან დაფარვა გამოიწვიოს. (იფრინდა)

# აიფერ ილმაზის ბრიფინგი

თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა ეკონომიკურ საკითხებში აიფერ ილმაზმა გუშინ საქართველოს პრეზიდენტთან ე.შევარდნაძესთან შეხვედრის შემდეგ, ქართველი ჟურნალისტებისათვის ბრიფინგი გამართა.

მისი თქმით, დელეგაციის შემადგენლობაში შედის 32 მსხვილი თურქული ფირმის წარმომადგენელი. თურქ ბიზნესმენთა ვიზიტის მიზანია, ქართველ ბიზნესმენებთან საქმიანი კონტაქტების დამყარება, თანამშრომლობა უმოქმედო საწარმოებთან და ენერგეტიკის და ნავთობის სფეროებში. მინისტრის თქმით, საქართველოსათვის ნამდვილი თურქული პროდუქციის გაცნობის მიზნით, სექტემბერში თბილისში დაგეგმილია თურქული პროდუქციის გამოფენის მოწყობა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში პრიორიტეტულია ბაქო-ჯეიჰანის ნავთობის და ყარსი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტები. 20-25 ივნისს საქართველოს დელეგაციის თურქეთში ვიზიტის დროს გაიმართება მოლაპარაკებები ყარსი-თბილისის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე ტენდერის გამოცხადებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, სავარაუდოა ტენდერის სექტემბერში გამოცხადება.

აიფერ ილმაზის თქმით, თურქეთის პრეზიდენტის სულეიმან დემირელის საქართველოში ვიზიტამდე უნდა მომზადდეს ხელშეკრულება ორმხრივი დაბეგვრის შესახებ. (იფრინდა)

# წაიკითხეთ, მხოლოდ ნუ აჯანყდებით...

მესამე გვერდიდან

ეს წერილი 1994 წლის 23 აგვისტოს ა.მარგიანმა დააწერა სახელმწიფო კანცელარიის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა მთავარ სახელმწიფო მრჩეველს დათუნაიშვილს რეზოლუციით: „გთხოვთ მხარი დაუჭიროთ კომისიაზე“. ამ რეზოლუციით ამარგიანმა აიძულა სამსახურებრივად მისი ხელქვეითი გ.დათუნაიშვილი აუცილებლად მხარი დაეჭირა ამ მოთხოვნისათვის, მიუხედავად იმისა, კანონიერი იყო თუ არა ეს მოთხოვნა. ამავე დღეს შედგენილ იქნა მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტი. პროექტის თანახმად დადგენილებაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფაცაციას ხელმოწერა იყო გათვალისწინებული. დადგენილების პროექტს 23 აგვისტოს ვიზირება გაუკეთა ა.მარგიანმა და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ თვალიაშვილმა. 30 აგვისტოს დადგენილების პროექტს ვიზა მისცა ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრმა მურთაზ ზანკალიანმა.

აღნიშნულიდან დაკავშირებით გ.დათუნაიშვილმა განმარტა, რომ ფირმა „მედიკოსი“-ს მიერ დაყენებული საკითხი მოხსენდა სურსათის სახელმწიფო კომისიას, რომელმაც მოიწონა იგი და გადაწყდა საკითხი შეტანილიყო მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე, რის შემდეგაც შედგენილ იქნა დადგენილების პროექტი.

ა.თვალიაშვილმა განმარტა: მინისტრთა კაბინეტში მას გააცნეს დადგენილების პროექტი, რომელსაც ხელი მოაწერა იმის დასტურად, რომ მისთვის ცნობილი იყო ფირმა „მედიკოსი“-ს საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება.

მ.ზანკალიანმა აჩვენა: რა ვითარებაში მოაწერა ხელი დადგენილების პროექტს, არ ახსოვს, მაგრამ თვლის, რომ მისი ვიზა ამ საბუთზე, როგორც მინისტრთა კაბინეტის წევრისა, საჭირო იქნებოდა.

1994 წლის 6 სექტემბერს დადგენილების პროექტს ხელი მოაწერა ა.მარგიანმა (რომელსაც მიეცა №636), ისე, რომ მისი განხილვა არ მომხდარა არც მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე და არც სხვა მინისტრებს წარდგენიათ ვიზების მისაცემად.

დადგენილებით ფირმა „მედიკოს“-ს ნება დაერთო, რეექსპორტით, 30 ათასი ტონა ლითონის ჯართი, რომელიც თითქოს მას 4 აგვისტოს (ორი დღის წინ?!) შეძენილი ჰქონდა ფირმა „ბიერიტა“-სგან (ხოლო ამ უკანასკნელს ქარხანგელსკში), გაეტანა თურქეთის რესპუბლიკაში სარეალიზაციოდ „იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ოპერაციიდან მიღებული მოგება ფირმა „მედიკოსი“-ს მიერ გამოყენებული იქნება ყაზახეთის რესპუბლიკიდან სასურსათო ხორბლის შემოსატანად, რომელიც ჩაბარდება სახელმწიფოს შეღავათიან ფასებში“.

ამავე დადგენილებით ფირმა „მედიკოსი“ განთავისუფლდა საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლებისაგან.

ის, რომ ფირმა „მედიკოს“-მა ჯართი შეიძინა ფირმა „ბიერიტა“-საგან, რომელმაც ეს ჯართი თავის მხრივ შეისყიდა ქარხანგელსკში, რა თქმა უნდა, სიყალბე იყო. სინამდვილეში ფირმა „მედიკოსი“-ს მიერ ჯართი მოპოვებული იქნა საქართველოში და ყველა საბუთი, რაც ჯართის მოპოვებას და მისი საზღვარგარეთ გატანას ეხებოდა, ყალბი იყო.

ასე მაგალითად: „მედიკოსი“-ს პრეზიდენტმა ლ.კოჩაძემ, რომელსაც ქონდა ფირმა „ბიერიტა“-ს ყალბი ბეჭედი, დაამზადა ყალბი ხელშეკრულება ამ ფირმისაგან ჯართის შესყიდვის თაობაზე. მანვე შეადგინა ყალბი საბუთები, თითქოს ფირმა „ბიერიტა“-ს ეს ჯართი 1991 წელს შეძენილი ჰქონდა ქარხანგელსკში, თუმცა ამ დროისათვის ფირმა „ბიერიტა“ არ არსებობდა. „თბილექსპერტიზ“-ის ექსპერტმა კაკაურიძემ გასცა ყალბი ექსპერტიზის აქტი იმის შესახებ, რომ თითქოს 30 ათასი ტონა ჯართი „ბიერიტა“-ს ქარხანგელსკში ჰქონდა შეძენილი კოოპერატივ „ზარია“-საგან.

ზემოთაღნიშნული ყალბი საბუთების და ამარგიანის მიერ ხელმოწერილი მინისტრთა კაბინეტის დადგენილების საფუძველზე 1994 წლის 6 სექტემბერს დადგენილების მიღების დღესვე საგარეო-სამრეწველო პალატამ გასცა საქონლის წარმოშობის სერთიფიკატი, რომლის მიხედვითაც ჯართი თითქოსდა რუსეთის ფედერაციაში იყო წარმოშობილი, ხოლო 7 სექტემბერს საგარეო-ურთიერთობათა კომიტეტმა გასცა ლიცენზია 30 ათასი ტონა ლითონის ჯართის რეექსპორტით გატანის შესახებ.

საოცარი და შესაშური ოპერატიულობაა! ყველაფერი ეს (მთავრობის დადგენილების ჩათვლით) გაკეთდა ორ დღეში (6-7 სექტემბერი).

ამარგიანის მიერ ხელმოწერილი ზემოთაღნიშნული მინისტრთა კაბინეტის უკანონო დადგენილების საფუძველზე „მედიკოს“-მა 1994 წლის სექტემბრიდან 1995 წლის მაისამდე თურქეთის რესპუბლიკაში გაიტანა 1500000 აშშ დოლარის ღირებულების 30 ათასი ტონა ჯართი.

1994 წლის 8 ოქტომბერს ინტერნაციონალურ კომპანია „საბა“-სა და პურპროდუქტების კორპორაციის კომერციულ ცენტრ „საქართველოს პურს“ შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლითაც „საბა“-ს 14 დღის განმავლობაში რესპუბლიკაში უნდა შემოეტანა 5000 ტონა ხორბალი. ამის სანაცვლოდ „საქართველოს პური“ უზრუნველყოფდა „საბა“-სათვის 66 ათასი ტონა ჯართის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასატანად ლიცენზიის გაცემას. ხორბლის შემოუტანლობის შემთხვევაში „საბა“ კარგავდა ლიცენზიის მიღების უფლებას. ხსენებული კონტრაქტი დადების მომენტშივე იყო უკანონო, ვინაიდან „საბა“ ამ დროისათვის საერთოდ არ იყო რეგისტრირებული. ის,

გაგრძელება მე-8 გვ.

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება“



# ქვეყანას ანგრევს ლიდერის გარემოცვა...

ფილიპ ბობკოვი

ჯერ კიდევ პლენუმის დაწყებამდე კაგანოვიჩი და შკირიატოვი ამზადებდნენ კამათში გამომსვლელებს, კერძოდ შკირიატოვი „ამუშავებდა“ ბალაშოვის სახელობის ფაბრიკის პარტკომის მდივანს ტიხომიროვას, რომელსაც მიაკუთვნეს პირველი გამოსვლა. მან მადლობა გადაუხადა ამხ.კაგანოვიჩს ნდობისათვის და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მხილებულია ხალხის უბოროტესი მტერი – საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ.ე.პანეჩნიკოვი.

გამომსვლელს სიტყვა გააწყვეტინა პრეზიდიუმიდან ნასროლმა რეპლიკამ:

– ამჟამად უკვე აღარ არის ამხანაგი!

დამფრთხალმა ტიხომიროვამ ბოდიში მოიხადა და განაგრძო კაგანოვიჩის მხურვალე მხარდაჭერა.

– აი, ახლა ჩვენ ვხედავთ, როგორ იქცეოდნენ ადამიანები... ყოფილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, ახლა მათი ადამიანებად ჩათვლაც კი საჩოთიროა... თუ მავნებლებს განზრახული აქვთ ჩვენი ბელადების განადგურება, მაშინ ჩვენ უნდა ვთქვათ. ჩვენ მათ არ დავინდობთ, ლაზარ მოისეევიჩ, ის, რომ ისინი ანადგურებენ ჩვენს ცხოვრებას, აუტანელია. მე ჩემი ცხოვრების მანძილზე ჭიანჭველასათვის არ დამიდგამს ფეხი, მაგრამ, რომ დამავალონ და მითხრან: დახვრიტე, ტიხომიროვა, ეს არამზადები, მე მათ ხუთჯერ დავხვრეტავდი. ჩვენ არავის არ მივცემთ უფლებას, ჩვენს ბელადებზე აღმართონ ხელი!

შემდეგ სიტყვა მისცეს პარტიის იურევის რაიკომის მდივანს დანილოვს. მან განაცხადა, რომ საქალაქო პარტორგანიზაცია ეწინააღმდეგება პარტიის ხაზის გატარებას, რომელიც მიმართულია ხალხის მტრების მხილებისაკენ.

– რაიკომების მდივნები, – გამოტყდა იგი, – ასევე ცუდად მუშაობდნენ ხალხის მტრების მხილების საქმეში.

თავისი გამოსვლის ბოლოს დანილოვი შეჰპირდა ყველას, რომ სერიოზულად მოჰკიდებს ხელს საქმეს და დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებს ხალხის მტრებს.

მის კვალდაკვალ გამოვიდა საოლქო მილიციის უფროსი მ.შრეიდერი.

– ამხანაგი კაგანოვიჩი აქ ჩვენი ბელადის, სტალინის მიერ არის გამოგზავნილი! – საზეიმოდ განაცხადა მან.

ხოლო შემდეგ, ჯეროვნად შეაფასა რა მოსკოვის ემისარის გამოსვლა, შრეიდერი თავს დაესხა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანს, ვასილიევს. მან აღშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ვასილიევს, რომელსაც ხალხის მტერთან აქვს კავშირი, მაინც უკავია პარტიის ცკ-ს მდივნის გვერდით ადგილი პრეზიდიუმში.

– მე არ გამაჩნია არავითარი საბუთი იმის შესახებ, რომ ვასილიევი მტერია, – თქვა მან, – მაგრამ თავს უფლებას მივცემ, უნდობლობა გამოვუცხადო მას.

შემდეგ შრეიდერი შს სახალხო კომისარიატის სამმართველოს ყოფილ უფროსს, სტირნეს გადაწვდა და დაადანაშაულა იმაში, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა რეპრესიებს და თითქოს ჰქონდა კავშირი შსს-ს სახალხო კომისარიატის ყოფილ თანამშრომელთან, კორნილოვთან, რომელსაც 1936 წელს ბრალად ედებოდა ტროცკისტებთან კავშირი. სტირნე ძველი ჩეკისტი, სამოქალაქო ომის აქტიური მონაწილე, დაუყოვნებლივ იქნა მოხსნილი, ხოლო შემდეგში დააპატიმრეს და დახვრიტეს.

კაგანოვიჩისა და შკირიატოვის გამამხნევებელი რეპლიკების დახმარებით შრეიდერმა კიდევ რამდენიმე პასუხისმგებელ მუშაკს გამოუცხადა უნდობლობა, მოტივაციით თავი არ შეუწუხებია.

პარტიის მალენკოვის რაიკომის პირველმა მდივანმა სუვოროვმა განაცხადა, რომ სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე სემაგინი მუშაობდა საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურ აპარატში 1928-1929 წლებში (ათი წლის შემდეგ მოიგონა! – ფ.ბ.) ანუ იმ დროს, როცა მისი თავმჯდომარე იყო ტომსკი, ის, ვინც დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებდა ცკკ-ა-ს, ამხანაგ სტალინის წინააღმდეგ. სხვათა შორის, ამხანაგი სემაგინი იმ წლებში უბრალოდ მუშაკი კი არა, არამედ პროფკავშირების პარტბიუროს წევრი და მდივნის მოადგილეც კი იყო. მაგრამ არავის გაუგონია, რომ იგი რაიმე ბრძოლას აწარმოებდა ტომსკისთან ერთად. სუვოროვმა წამოაყენა წინადადება სემაგინის განთავისუფლების შესახებ. წინადადება მიღებულ იქნა.

ასეთივე სულისკვეთებით გამოდიოდნენ სხვა დანარჩენებიც. არაფრით არ შეიძლებოდა პლენუმზე პასუხისმგებელი მუშაკი სიტყვით რომ არ გამოსულიყო, რამეთუ თვით გაჩუმების ფაქტი შეფასდებოდა როგორც პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო პოზიცია. საკმარისი იყო ვინმეს გადაეხვია თემისაგან, მაშინვე გაისმოდა კაგანოვიჩის მკვახე მითითება, რომ საჭირო იყო ცარიელი ლაპარაკიდან საქმეზე გადასვლა, მხილება, თანაც კონკრეტული პირების მითითებით. ისინი, კაგანოვიჩი და შკირიატოვი – ყოველ წუთში უხეშად აწყვეტინებდნენ ორატორებს. საკმარისი იყო, მაგალითად, საოლქო კომიტეტის მეორე მდივანს, ალექსანდროვს გაუბედავად შეენიშნა, რომ ერთ-ერთი ამხანაგი ტყუილად დაადანაშაულეს, ორივენი აფეთქდნენ. „თქვენ, თქვენს თავზე ილაპარაკეთ!“ – მოითხოვდა კაგანოვიჩი, ხოლო შკირიატოვმა ღვარძლიანად შენიშნა: „თქვენ თვითონ რას აკეთებდით?“ და ორივემ ათასგვარი შეკითხვა დააყარეს ორატორს, რითაც საბოლოოდ დააბნიეს იგი. პლენუმის დამთავრებისთანავე ალექსანდროვი მოხსნეს სამუშაოდან, იმ მოტივით, რომ „არ გაამართლა პარტიის ნდობა და ვერ ამხილა ხალხის მტრები“.

კაგანოვიჩი და შკირიატოვი ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს ყველაფერს, რათა ყველაფერი მათი დაწერილი სცენარის მიხედვით წარმართულიყო. ისინი ამხნევებდნენ იმათ, ვინც „საქმეო“ ხალხს ასახელებდა და ყვირილით აჩუმებდნენ მათ გამოსვლებს, ვინც ცდილობდა კრება სხვა პრობლემების განხილვისაკენ წაეყვანა. ასეთ დამთრგუნველ ვითარებაში გამოვიდა პარტიის ივანოვოს საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილე ვასილიევი, რომელსაც მილიციის უფროსმა უნდობლობა გამოუცხადა.

– ამხანაგებო, ძნელი სათქმელია, – დაიწყო მან, – თუ რა განვიცადე მე ამხანაგი კაგანოვიჩის მოხსენების მოსმენის დროს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენს გვერდით, კერძოდ, პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში მუშაობდნენ

გაგრძელება მე-8 გვ.

დასაწყისი იხ. „საქართველო“ №53.

# ქართველთა ხმა თურქეთიდან

საქართველოსათვის არ არსებობს იმაზე ძნელად გადასაჭრელი, უპირველესი, უმთავრესი და ურთულესი საკითხი, როგორიცაა თურქეთის ქართველობა, რომელთა უმრავლესობას დაკარგული აქვს მშობლიური ენა, ისტორიული და ეროვნული ცნობიერება. იმის წარმოდგენა არა აქვთ და არც სურვილი იცოდნენ, თუ ვინ იყვნენ მათი წინაპრები, რა ენაზე ლაპარაკობდნენ ისინი და რა სჯულს მისდევდნენ. გამუსლიმანებულ ქართველებში ზოგჯერ გაკვირვებას იწვევს ის განსხვავებული წესჩვეულებებიც, რომლებიც არსებობს იქ მათსა და ნამდვილ თურქებს შორის. იგივე ითქმის მათ ირგვლივ ტერიტორიაზე არსებულ ამდენ ძველისძველ არათურქულ ნაგებობებზე, – ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, ციხე-კოშკებზე, ნასოფლარ-ნაქალაქარზე.

პანისლამურ, პანთურქულ ტრადიციებზე აღზრდილნი, ისე არიან გადაგვარებულნი, რომ არც მოგისმენენ, თუ დაუწყებთ ახსნა-განმარტებას მათი ქართული წარმომავლობის შესახებ. ასეთი დამოკიდებულება იგრძნობა მათთან შეხვედრისას ყველგან, – თურქეთში თუ მის ფარგლებს გარეთ (და თუ მათგან ვინმე გაბედავს და თავს ქართველად აღიარებს, მას მოღალატედ, სჯულის გამყიდველად თვლიან).

ამჟამინდელი საერთაშორისო მდგომარეობის ფონზე, ევროპის გზაზე დამდგარ თურქეთში, მაინც გამოჩნდნენ ისეთი გამუსლიმანებული ქართველები, რომლებიც თავიანთ თავს თვლიან გურჯებად (ქართველებად), უფრო მეტიც, ისინი კატეგორიულადაც მოითხოვენ დედა-სამშობლოდან – საქართველოდან მზრუნველობას. ასეთი რამ წარმოუდგენელი იყო უახლოეს წარსულში.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მათ – მესხებს, ლაზებს, ჭანებს, ასევე ნათელი წარმოდგენა არა აქვთ საქართველო-რუსეთის, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიაზე, განსაკუთრებით კი ჩვენს მიმართ რუსეთის მზაკვრულ პოლიტიკაზე. დიახ, ჩვენ და მათაც „დავიწყებული" გვაქვს საერთო მტრის, რუსეთის დამპყრობლური ომები კავკასიისა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. თუმცა, ბოლო ჟამს თანამედროვე ქართველებიც და თურქებიც კარგად ხედავენ, თუ თავისი იმპერიალისტური ზრახვების შესასრულებლად, კვლავ როგორ „იცავს" რუსეთი კავკასიის ხალხებს, მათ მთასა და ბარს, ჰაერში, ზღვებსა და ხმელეთზე, ამ მიზნით როგორ არიან განლაგებული რუსული არმიები საქართველოს, სომხეთისა და თურქეთის საზღვრებზე...

გაზეთმა „საქართველომ" ა.წ. 27-28 მარტის ნომერში გამოაქვეყნა თურქი ქართველის ალი ალთუნის მეტად საყურადღებო წერილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძისადმი, – „თურქეთში არსებული ქართული დიასპორის პოლიტიკური ორიენტაცია სულერთი არ უნდა იყოს საქართველოსათვის".

ავტორი, გამოხატავს რა თურქეთში მაცხოვრებელ მუსლიმან ქართველთა ინტერესებს, მთელი გულახდილობით მიგვითითებს საქართველო-თურქეთის კულტური ურთიერთობების მეტად დაბალ დონეზე. მისი აზრით, კულტურულ-საგანმანათლებლო სარბიელის ასე დატოვება სამომავლოდ ორივე ქვეყანას მოუტანს „გამოუსწორებელ შედეგს". რომ მხოლოდ მუსლიმან ქართველებთან სწორი ურთიერთობა შეუწყობს ხელს პანისლამისტური ტენდენციების შეზღუდვას, შესუსტებას და თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიული თუ ეროვნული ცნობიერების აღდგენას. „თუ თურქეთში მცხოვრები ქართველები ნაზიარები იქნებიან თავიანთი წინაპრების კულტურას და ექნებათ სწორი ინფორმაცია ისტორიის შესახებ, ასეთ შემთხვევაში თავიანთი ისტორიული სამშობლოს მეგობრებად იქცევიან და ადგილი არ ექნება მომავალში ურთიერთსისხლის ღვრას და „ისტორიული ფაქტების გაყალბებას". ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ მივუთითებ 1995 წელს თურქეთში გამოცემულ „ვეფხისტყაოსანზე", სადაც „ამტკიცებენ", რომ ავტორი შოთა რუსთაველი თურქია, – „თურქიმესხიაო"; რომ თითქოს საქართველოსა და თურქეთს შორის არასოდეს ყოფილა მტრული ურთიერთობა; რომ აფხაზებიც და აჭარლებიც თურქები არიან... და, თითქოს, არცერთ თურქ ფაშას ძალადობა არ უხმარია, – ძალით არ მოუქცევია ქართველობა მაჰმადის რჯულზე.

ყოველივე ეს და მრავალი სხვა სიყალბე, განაგრძობს ავტორი, – ისტორიის მთელ მანძილზე, ემსახურებოდა პანისლამურ აღზრდას, – თურქეთში მაცხოვრებელ სხვა რჯულისა და ეროვნების ხალხთა გამაჰმადიანებას ლოზუნგით: „თურქეთში მაცხოვრებელი ყველა თურქია!" სამწუხაროდ, ამ აზრს დღესაც იცავენ პანთურქული მიმდევრები.

ამიტომაც, განაგრძობს ავტორი, ქართული კულტურა მასიურად უნდა მიეაწოდოთ თურქეთის მაცხოვრებლებს. პირველ რიგში თურქულად თარგმნილი ქართული ლიტერატურის ნიმუშები, კინოსურათები, თეატრალური სანახაობანი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები. სასწრაფოდ უნდა ითარგმნოს თურქულად საქართველოს მოკლე ისტორია, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი სხვადასხვა მასალები, გამოიცეს ბუკლეტები, რუკები. ეს პროცესი თურქეთის პროვინციებში მაცხოვრებელ ქართველებზე დადებით გავლენას მოახდენს, – მათში გაიღვიძებს ეროვნული სული და ისინი თავიანთი ისტორიული სამშობლოს მეგობრებად იქცევიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თურქეთის მხრიდან საფრთხე დაემუქრება საქართველოს, პანთურქების წაქეზებით, როგორც ძველად, ქართველების წინააღმდეგ ყველაზე საშიშ მტრებად კვლავ მოგვევლინებიან სწორედ გათურქებული ქართველები (ისე, როგორც მესხეთ-ჯავახეთში იქცეოდნენ ე.წ. „თურქი-მესხები", – ვ.გ.).

მდგომარეობის გამოსასწორებლად, – მომავლის ღირსეულად შეხვედრისათვის, – გვირჩევს ალი ალთუნი, საქართველოში უნდა შეიქმნას ქართული კულტურის თურქეთში გატანის ცენტრი. პირველ ეტაპზე, არასახელმწიფოებრივი სტრუქტურა.

ჩვენი მხრივ დავამატებდით, რომ მსგავსი ცენტრი უნდა შეიქმნას თურქეთშიც. გავიხსენოთ, რომ ერთი საუკუნის წინ, როცა აჭარა შემოგვიერთდა, ანალოგიური და კიდევ უფრო რთული პრობლემები წარმოუდგა ჩვენს ერს გამუსლიმანებული აჭარლების მხრიდან.

მაშინ, დღევანდელობისაგან განსხვავებით, – ძველი, დიდებული მესხეთის ერთი ნაწილის – აჭარის შემოერთების ჟამს, მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი, მისი სახელოვანი ინტელიგენცია, დიდი ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, ფეხზე დადგა. ყველას სურვილი იყო ყოველმხრივ დახმარებოდნენ თავიანთ ძმებს, – გამუსლიმანებულ ქართველებს. მაშინაც, რუსების უხეში ჩარევის წყალობით, ეს არ იყო ისე იოლი, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს დღევანდელი თვალსაწიერიდან.

არ ვიცი, როგორ გამოეხმაურებიან დღევანდელი ქართველები თურქეთის სამუსლიმანო საქართველოში მაცხოვრებელ ჩვენი ძმების ხმას, მაგრამ მაშინ, როგორც აღვნიშნეთ, ფეხზე დადგა მთელი საზოგადოებრიობა. ვინ არ გამოსულა პრესის ფურცლებზე მოწოდებებით, ვინ არ იმოგზაურა აჭარაში, ვინ არ გაიღო დახმარება-შეწირულობანი...



ოშკის მონასტერი. ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე

უპირველესად გავიხსენოთ, აჭარის შემოერთებასთან დაკავშირებით, გამუსლიმანებული აბაშიძეების მამულიშვილური თავგანწირვა, ხიმშიაშვილებისა, კაიკაციშვილების და მათ მსგავსთა ქართველური მისწრაფებანი. და რამდენი იყვნენ ასეთები! ეს ხდებოდა მაშინ, როცა მოღალატედ და სჯულის გამყიდველად სთვლიდნენ ყველა მათ, ვინც თავს ქართველად აღიარებდა. რაც შეეხება რუსეთს, იგი, – დამპყრობელი, ყოველმხრივ ცდილობდა დაპატიმრებებით, გადასახლებებით და სასიკვდილო განაჩენით, – ჩაეხშო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დაეპირისპირებინა მუსლიმანური ქართველობა ქრისტიანული ქართველებისათვის. მოვუსმინოთ მემედ აბაშიძეს: „როგორც აბდულ-ჰამიდის და „მლადო თურქების" რეჟიმმა, აგრეთვე მეფის რუსეთმა სათანადოდ შეაფასა ჩემი მოღვაწეობა და თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: დევნა-დატუსაღება, ციხე-კატორღა და სიკვდილის განაჩენი ჩემთვის არ მოუკლიათ... ღრმად მწამდა, რომ შორს არ იყო ის დრო, როდესაც თავისუფლების ბრწყინვალე განთიადიც ამოატანდა, ხალხთა განთავისუფლების მზეც ამობრწყინდებოდა და ჩემი უძვირფასესი იდეალი, რომელსაც მე სიყრმიდანვე ვემსახურებოდი, ფრთებს შეისხამდა" (ბათუმის მუზეუმი, ფონდი №5, საქმე 2–3).

სწორედ იმ პერიოდში გამოიცა: ზაქარია ჭიჭინაძის წიგნები, მათ შორის, – „მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები საქართველოში" (1913 წ.), ა.წულაძის „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს" (1915 წ.) და სხვათა ნაწერები.

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთაგან ჟურნალ-გაზეთებში დაიბეჭდა წერილები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეფის მთავრობის მიერ აჭარლები მოღალატეებად იქნენ გამოცხადებულნი...

ქართველი საზოგადოებრიობა, სხვა საკითხთა შორის, მთელი გულისყურით მოეკიდა აჭარაში ქართული სკოლების გახსნის საკითხს. დაიწერა: აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, ეკატერინე გაბაშვილის, მოსე ჯანაშვილის, გიორგი წერეთლის, განდეგილის (დომინიკა ერისთავის), დავით კლდიაშვილის, სერგი მესხის, სამსონ ფირცხალავას, გერონტი ქიქოძის, თედო სახოკიას, ნიკო ნიკოლაძის, პეტრე უმიკაშვილის, ალექსანდრე ყიფშიძის, ანტონ ფურცელაძის, გიორგი ყაზბეგის და სხვათა წერილები. მოწინააღმდეგენი კი, მოითხოვდნენ აჭარაში ოსმალური, თურქული სკოლების გახსნას და მასწავლებელთა მოწვევას სხვა ქვეყნებიდან. ასეთი დამოკიდებულებაც კარგად გამოიყენა რუსულმა ადმინისტრაციამ და მათ შორის აღმართა ჩინური კედელი.

მეფის მოხელეებმა, სხვა მუსლიმან ეროვნულ მოღვაწეებთან ერთად, აჭარიდან განდევნეს ჰაიდარ აბაშიძეც. 1916 წელს იგი მასწავლებლობიდანაც მოხსნეს. მიუხედავად სამშობლო კუთხიდან გადასახლებისა, იგი მთელი ენერგიით კვლავ დაუცხრომლად იბრძოდა აჭარის შემომტკიცება-აღორძინებისათვის. მისი ამაღელვებელი წერილებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „როდის გავიგე, რომ მე ქართველი ვარ", „ხმა ქრისტიან მოძმეებს", „ქართველი მუსლიმანების საყურადღებოდ", „ქართველი მაჰმადიანი ქალის ხმა", „სამუსლიმანო საქართველო და ოსმალეთი", „ილია და აჭარა", „აჭარა თავის მზრუნველს არასოდეს დაივიწყებს", „ასე ფიქრობდა მგოსანი" (ვაჟა) და სხვა. ავტორი ყველგან მიუთითებდა, რომ სარწმუნოების სხვაობა ხელს არ უნდა უშლიდეს ეროვნულ ერთიანობას. იგი ებრძოდა პანისლამისტებს, რომლებიც ხალხთა ურთიერთდაახლოების პირობად მხოლოდ სარწმუნოებით ერთიანობას აღიარებდნენ.

ერთი ამონაწერიც გაზ. „სახალხო ფურცლის" 1916 წლის 21 მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილიდან" – „არა მგონია იყოს ისეთი ქართველი, ქრისტიანი თუ მუსლიმანი, რომელსაც არ გაეგებოდეს, თუ რას წარმოადგენს დღეს სამაჰმადიანო საქართველო. გავიგეთ, თუ ვინ ვართ ჩვენ, სიხარულით ვუწვდით ძმურ ხელს ერთიმეორეს. ერთმანეთის ძმობას არ გავურბივართ; პირიქით, იმედი გვაქვს საბოლოოდ შეერთებისა და ქართველი ერის სახელით მის საკეთილდღეოდ ბრძოლისა".

ჩვენც და თურქეთში მაცხოვრებელი გამუსლიმანებული ქართველები ავმაღლდებით კი იმ დონეზე, რომელზედაც მიგვითითებდა 1916 წლის გაზეთი „სახალხო ფურცელი"?! გულთან მივიტანთ კი ამ მეტად მტკივნეულ საკითხს?!

ამ საქმეში, როგორც აღინიშნა, დიდზე დიდ დახმარებას გაგვიწევს (განსაკუთრებით თურქეთში მაცხოვრებლებს) ქართული კულტურის გაცნობა-ათვისება, – ლიტერატურა, ცეკვა, სიმღერა, კინოფილმები, თეატრალური სანახაობანი, საქართველოს ნამდვილი (!) ისტორიის ცოდნა, დედა ენის სახელმძღვანელოების შედგენა და გამოცემა, თურქულ-ქართული ლექსიკონების დაბეჭდვა, ისტორიული არქიტექტურული ძეგლების გაცნობა როგორც თურქეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ...), მაგრამ ყოველივე ეს განუხორციელებელ ოცნებად დარჩება, თუ პრაქტიკულად არ ვიზრუნეთ ამ საქმისათვის ჩვენთანაც და ოსმალეთში.

როგორ გვესახება ამ მიმართებით პერსპექტივა, მომავლის გეგმები? – დღევანდელ სიტუაციებიდან გამომდინარე, – არასახარბიელოა, მაგრამ მაინც, პირველ ეტაპზე, საჭიროდ გვეჩვენება, ამ შემთხვევაში, საქართველოში ერთიანი საორგანიზაციო ღონისძიება, რომელშიც, სურვილის მიხედვით (დიახ, სურვილის მიხედვით!) მონაწილეობას მიიღებენ თურქეთით და იქ მაცხოვრებელი ქართველი მუსლიმანებით დაინტერესებული როგორც სახელმწიფო-საზოგადოებრივი, ისე კერძო ბიზნესმენთა წარმომადგენლები. ესენია დარგობრივი სამინისტროები, საგარეო ურთიერთობათა უწყებანი, მწერლებისა და სხვა შემოქმედებითი კავშირები, უნივერსიტეტსა და სხვა სასწავლებლებში მოღვაწე თურქოლოგები, მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, არქივები და მუზეუმები, მხატვრულ სანახაობათა დაწესებულებები, კინოსტუდიები, თვითმოქმედი ანსამბლები, რადიო, ტელევიზია, ბეჭდური წარმოების სამყარო,– გამომცემლობანი, ჟურნალები, გაზეთები, საქართველოში შემავალი ყველა ადმინისტრაციული დანაყოფები, უპირველესად კი, – აჭარა, რომელმაც განვლო ის ნარ-ეკლითა და სისხლით მორწყული გზა, რითაც საბოლოოდ დაუკავშირდა მშობლიურ საქართველოს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ, როცა შეიქმნება თურქეთში მაცხოვრებელ მუსლიმან ქართველთათვის თბილისში კულტურის ცენტრი, მისი უპირველესი ფილიალი და ბაზა უნდა იყოს ბათუმში.

პირადად ჩემი და საქმეში ჩახედულთა აზრით, ამ ცენტრის მოთავეობა უნდა იკისროს გაზეთმა „საქართველომ".

**ვახტანგ გურგენიძე**

ივნისი, 1997 წ.

*რედაქციისაგან: მოველით ამ საკითხით დაინტერესებულ პირთაგან თავიანთ საქმიან წინადადებებს. მადლობელი ვარ ავტორის, ამ საშვილიშვილო საქმეში ესოდენ დიდი მისიის მტვირთველებად რომ გამოგვარჩია. მოთავეობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გაზეთი „საქართველო" მზად არის ინფორმაციული და იდეოლოგიური სფეროს ფარგლებში ყოველგვარი გააკეთოს ამ ეროვნული საქმის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.*

## ვერსია

ცნობილი გახდა აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებულ რუსეთის სამშვიდობო ძალების ერთ-ერთ საგუშაგოზე მომხდარი ინციდენტის დეტალები. რამდენიმე დღის წინ უფროსმა სერჟანტმა ვაგანოვმა დაცხრილა სამხედრო ყარაულის შემადგენლობა და თავი მოიკლა. სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ თითოეული დაღუპული გასროლიდან რამდენიმე წამში გარდაიცვალა. სამშვიდობო ძალების სამხედრო პროკურორის ინფორმაციით საქმე გადაეცა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურას.

არსებობს ვერსია სერჟანტ ვაგანოვის სისხლში ნარკოტიკული ნივთიერების აღმოჩენის შესახებ, თუმცა ექიმები ამ ვერსიას საბოლოო გამოკვლევამდე არ ადასტურებენ.

## პრეზიდენტმა მთავრობას ახალი ვიცე-პრემიერი წარუდგინა

ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა მთავრობის წევრებს ზაკაევის სახით ახალი ვიცე-პრემიერი წარუდგინა. მიმომხილველთა აზრით, ზაკაევის კანდიდატურამ განსაკუთრებული აღიარება ჰპოვა მას შემდეგ, რაც რუსეთის პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართა. ასეთი დამოკიდებულება ზაკაევის მიმართ პრეზიდენტ შევარდნაძესთან მისმა შეხვედრამაც განაპირობა. ჩეჩნეთის პოლიტიკურ წრეებში მიიჩნევენ, რომ თბილისში ზაკაევის ამასწინანდელმა ვიზიტმა დიდი შედეგები გამოიღო საქართველო-ჩეჩნეთის ურთიერთობათა განვითარებაში. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის მხარემ აფხაზეთის კონფლიქტში ჩეჩენი ბოევიკების მონაწილეობას შეცდომა უწოდა.

## გრძელდება გაფიცვა

კუზბასსა და კემეროვოში გრძელდება მეშახტეთა გაფიცვა. მათ შეუერთდნენ პედაგოგები და კულტურის მუშაკები. გაფიცულთა მოთხოვნაა მთავრობამ დაფაროს დავალიანება.

* * *

დასავლეთ უკრაინის ქალაქ დონბასის მეშახტეები გაფიცულები არიან. ისინი მოითხოვენ ხელფასის დავალიანებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

## იქმნება ერთიანი სამხედრო დაჯგუფება

ბალტიისპირეთის ქვეყნების – ესტონეთის, ლიტვასა და ლატვიის თავდაცვის მინისტრების ორდღიანი თათბირის შემდეგ გადაწყდა შეიქმნას ერთიანი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამშვიდობო ოპერაციებში. ბალტიის ქვეყნების სამშვიდობო სამხედრო დაჯგუფება იმოქმედებს ჩრდილოატლანტიკური ბლოკის შემადგენლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 2 ოთახნახევრიანი პრივატიზირებული ბინა ლოჯით, სათავსოებით, ტელეფონით. მე-5 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-16-50 მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან"

მაქვს ძველი სახლი 150 კვ.მ საერთო ფართი მეტრო „სამასი არაგველების" წინ ქ.წამებულის პროსპექტზე. ვისაც სურვილი აქვს აშენების, გამომეხმაუროს ტელ. 78-16-88

იყიდება 2 ოთახიანი მაღალჭერიანი (3,60) ბინა (18+26) ქალაქის ცენტრში,. გრიბოედოვის ქუჩაზე სამსართულიანი სახლის მესამე სართულზე, მუზეუმის თავზე. ბინა იტალიური ტიპისაა. აქვს სარდაფი, ტელეფონი და მანქანის გასაჩერებელი ადგილი. ფასი 27000$ ტელ. 99-73-68 (საღამოს საათებში)

იყიდება ვაკეში 2 სართულიანი სახლი ხეხილიანი ეზოთი, ავტოსადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 22-47-99

იყიდება აგარაკი ფასანაურში. ფასი 6000 დოლარი ტელ. 36-14-45

იყიდება 2 ოთახიანი იზოლირებული ბინა ფართი 30 კვ.მ მიშენება 38 კვ.მ რკინის კარებით, გისოსებით, სარდაფით II სართულზე. მეტრო „ღრმაღელესთან" ახლოს. ტელ. 61-39-64 თამრი

იყიდება ერთოთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას მე-6 კვ-ში, მე-7 სართულზე. ფასი საწყისი 8000 დოლარი. ტელ. 22-57-02 მარინა

იყიდება არასტანდარტული 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში, საერთო ფართი 220 კვ.მ რემონტით, დიდი სარდაფით, ტელეფონით, მანქანის სადგომით. ტელ. 37-77-50

იყიდება მიწის ნაკვეთი 1000 კვ.მ ვაკეში. ტ.ტაბიძის I შესახვევი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 29-21-75

იყიდება ვაკეში ერთოთახიანი ბინა შატბერაშვილის ქ. №4. ოთახის ფართი 23 კვ.მ სამზარეულო - 9; ჭერის სიმაღლე 3.20 სარდაფით, აივნით. ტელ. 29-46-36 ფასი შეთანხმებით.

იყიდება 2 სართულიანი აგარაკი წავკისში. კეთილმოწყობილი, დენი მუდმივად. ეზო 600 კვ.მ ფასი შეთანხმებით. ტელ. 95-28-18

იყიდება ოთხოთახიანი არასტანდარტული ბინა 90 კვ.მ დამთავრებული მიშენებით, საბურთალოს ცენტრში, სარდაფით და მანქანის სადგომით. საერთო ფართი 160 კვ.მ ფასი 45000$ ტელ. 38-01-11

იყიდება მიწის ნაკვეთი 600 კვ.მ წყნეთში ცენტრალურ გზასთან ახლოს კამოს ქუჩა №3 (ახლანდელი ფიროსმანის). ფასი 15000 $ ტელ. 95-87-11; 61-11-39

## ქირავდება

ვაქირავებ 2 ოთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით და ავეჯით. ფასი 200$ ტელ. 36-48-10; 22-15-27; 39-33-33 ნინო

იყიდება ან ქირავდება მაღაზია რესპუბლიკის მოედნის ქვეშ არსებულ კომპლექსში. 14 კვ.მ, ტელ. 99-99-25

ვაქირავებ ავტოფარეხს რიგის ქ.№2, ფასი 60 ლარი ტელ. 22-33-76

იყიდება ან ქირავდება ძეხვისა და სოსისის გამოსაშვები საამქრო, ლიცენზიით, მეტროსთან ახლოს. ფასი 8500 დოლარი. ტელ. 61-52-04; 37-02-62

ქირავდება 2 ოთახიანი ბინა ლოჯიით, ავეჯით და ტელეფონით, ორთაჭალაში. დენი და წყალი მუდმივად არის. ტელ. 34-73-95 რუსიკო

## სხვადასხვა

ვარ სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტი. ვეძებ ბუღალტრის სამუშაოს ტელ. 34-30-16 (დღის 4 საათამდე) ტელ. 34-55-26 (საღამოს საათებში)

იყიდება 6 რბილი- სკამი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38-11-67

იყიდება სამეულის ხელით ნაქსოვი გადასაფარებელი. ტელ. 37-74-68

იყიდება ფრანგული „მაულინექსი" ფირმის მუსიკალური ყავის მადუღარა კომპიუტერული სისტემით. ფასი 300 ლარი. ტელ. 93-36-41 საღამოს საათებში 6 სთ-ის შემდეგ

თუნუქის სახურავების შეკეთება შეღებვა სურიკის საღებავით ძალიან დაბალ ფასებში. ანგარიშსწორება ნებისმიერი. ტელ. 37-35-90 საღამოს

იყიდება ეგვიპტის წარმოების ხუთეული მაგიდის გარეშე მისაღებისათვის ანტიკვარულ სტილში. ფასი 1200 დოლარი ტელ. 95-87-11; 61-11-39

საკუთარი რაფით მოვემსახურები კერძო პირს ან ორგანიზაციას ყოველ მესამე დღეს. ტელ. 95-18-28

იყიდება ფიჭვის ხის კარებები ლოჯიის ან აივნის გადასატიხრად 5 ცალი, თავისი 5 მილიმეტრიანი შუშებით. ზომები: სიმაღლე 2 მ. 64 სმ. სიგანე 70 სმ. ფასი 1 ცალი - 100 ლარი. ტელ. 29-22-76

## ვასწავლი

მოვამზადებ მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, სტუდენტებს ინგლისურ ენაში ტელ. 31-16-87; გერმანულ ენაში ტელ. 36-09-48 ლია

## მოვუვლი

მოვუვლი და აღვზრდი ნებისმიერი ასაკის ბავშვს. ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. ტელ. 73-02-74 ანოლი

მოვუვლი ბავშვს, ვარ უმაღლესი პედაგოგიური განათლებით. მაქვს მუშაობის საკმაო გამოცდილება. სანიტარული წესების სრული გარანტიით. გულთბილი ატმოსფერო და სიყვარული ნებისმიერი ასაკის ბავშვს არ მოაკლდება. ტელ. 29-16-33 ქალბატონი გულიკო.

ვაკეთებ სამედიცინო მასაჟებს, მოვუვლი ავადმყოფს და დავეხმარები კარგადმყოფთ საოჯახო საქმეებში, მოვამზადებ ბიოლოგიაში. ტელ. 73-35--26 ფატიმა

## ავტომობილი

იყიდება „გაზ 53" 1990 წლის გამოშვება. განარბენი 12000 კმ. ფასი 1500$ ტელ. 99-99-25 (21 სთ-ის შემდეგ)

მარჯანიშვილის მოედანთან, ალმაშენებლის გამზირზე იყიდება სამსართულიანი სახლის მესამე სართული, მაღალჭერიანი (4,35 მ), 9 ოთახი მანსარდით (270 კვ.მ), მუხის პარკეტით, ბუხრებით, ოთხი სატელეფონო ხაზით. საერთოა ფართია 380 კვ.მ აქვს სარდაფები. ბინა სარემონტოა. დენი მუდმივად არის. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 250000 დოლარი ტელ. 95-08-87

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**დაგვირეკეთ ყოველდღე: 93-18-41**

# აფიშა

ვერიკო ანჯაფარიძის სახ.ერთი მსახიობის თეატრი
ფიქრის გორაზე (ვ.ანჯაფარიძის ქ.16)

**12 ივნისი**

**«და სიმღერით ვკვდები»**

მურმან ჯინორიას სპექტაკლი
დასაწყისი: 20 საათზე

თეატრალური სარდაფი
(რუსთაველის გამზ. 42)

**12 ივნისი**

ბერდოლ ბრეხტი

**«შიში და სასოწარკვეთა»**

(პოლიტიკური ატრაქციონი)
დასაწყისი 20 საათზე

სანდრო ახმეტელის სახ. სახელმწიფო დრამატული თეატრი
(ი.ვეკუას ქ.8 მეტრო „ახმეტელთან")

**12 ივნისი**

რობერტ ტომა

**«სასიკვდილო განაჩენი»**

დასაწყისი 17 საათზე

კომპიუტერული ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და აღჭურვილია ძლიერი ტექნიკით, გთავაზობთ ჟურნალ-გაზეთების, წიგნების, ნებისმიერი სახის საქმიანი ქაღალდებისა და სხვა სახის ბეჭდვითი პროდუქციის უმოკლეს ვადებში მომზადებას (აწყობა-დაკაბადონება ნებისმიერ ენაზე). გვაქვს ავტონომიური დენის წყარო. მობრძანდით მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით.

მის: პუშკინის ქუჩა №5 მეორე სართ, ოთახი 207
ტელ: 93-19-99 (10-დან 19 საათამდე) ვმუშაობთ ყოველდღე.

## რა როდის რომელ არხზე

**1** 7.30 „ალიონი" 9.00 „კასანდრა" 18.00 „მოამბე" 18.10 მესაკუთრე 18.25 „მერიდიანი" 18.45 პიგია 19.10 „სპა" 19.55 „50X50" 20.00 „მოამბე" 20.35 რეკლამა 20.40 აუდიენცია 20.50 „ბასტი-ბუბუს მულტი-პულტი" 21.05 „დღე" 21.20 „კასანდრა" 22.00 „ვესტნიკი" 22.25 მრავალსახეობა 23.15 შოუბიზნესი 23.50 „ქვიშის საათი".

**2** 19.00 „ინფორმაცია მეორე არხი". 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. ელიტარული ქრონიკა. „ინტერვიუ". 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.10 რუსული მხ.ფ. „ბანძია პუნძული" პროგრამის დასასრულს — მუსიკალური გადაცემა „შვიდეული".

11.00 შეიპინგი. 11.30 მლ.ფ. 12.10 დოკ. ფილმი 13.00 ტელეკომპანია „მირი". 13.30 მხ. ფ. „არდადეგები ვეგასში" 15.10 გასართობი პროგრამა 16.15 „ვარსკვლავები" 16.45 დეტექტიური სერიალი „ტვინ პიკსი". 17.45 საინფორმაციო გამოშვება 18.00 მულტფილმები.

**VII არხი** 11.05 მხ.ფ. „ნურასოდეს დანებდები". 12.45, 20.05 „აჩიკუდა" 13.05 „ტელეგაზეთი" 18.20 მხ. ფ. „მე და ფრანკენშტეინი". 19.50 მუსიკა 20.35, 22.25 „პიჩიკატო" 20.40 მხ. ფ. „ფრენკ დავინჩის ოქრო". 22.10 „პანაცეა". 22.30 კინოკლუბი წარმოგიდგენთ — მხ. ფ. „ტრივიალური საკითხავი". 23.45 მუსიკა. გადაცემა „უმი" 00.25 დოკ. ფ. „საბრძოლო ზონა" 00.30 ფილმი მოთხოვნით — მხ. ფ. „პინოქიო".

18.00 კურიერი 18.15 „დოგსითი". მულტსერიალი 18.35 „მანუნა" 19.05 დოკ. სერიალი „ველური ბუნება" 19.35 „სალომეა" 20.30 „მეზობელი გოგონები" 21.00 კურიერი 21.30 მხ. ფ. „ანეთია" 23.10 „სიმპსონები". მულტსერიალი უფროსებისთვის 23.25 „ლოს-ანჯელესის კანონი" 00.15 კურიერი. 00.30 მხ. ф. „გამოღვიძება"

**1 ОРТ** 08.00 "Доброе утро" 11.00, 16.00, 00.50 Новости. 11.15 Х/Ф "ТАБАЧНЫЙ КАПИТАН". 12.40 "Играй, гармонь любимая" 13.10 Х/Ф "ВАСИЛИЙ БУСЛАЕВ" 14.40, 16.20 Спектакль "Маленькие комедии большого дома" 17.45 Мультфильмы 18.50 Счастливый случай 19.50 Х/Ф "АЛЕКСАНДР НЕВСКИЙ" 22.00 Время. 22.45 КВН - 97 01.00 Х/Ф "РУССКИЕ БРАТЬЯ"

**РТР** 09.00,15.00, 21.00 Вести 9.25 Лукоморье 9.50 Х/Ф "КОРОЛЬ-ОЛЕНЬ" 11.05 Россияне 11.20 Романсиада - 97 12.00 "Небываемое бывает" 12.40 Баскетбол. Чемпионат НБА. Финал 13.50 Концерт ансамбля "Березка" 14.50 Фестиваль региональных программ 15.20 Х/Ф "ПОЦЕЛУЙ". 16.30 Песня России 17.25 Док.фильм 17.55 Телеспектакль "Все будет хорошо, как вы хотели" 18.35 Терем-квартет 19.30 Геннадий Хазанов 21.35 Х/Ф "ТРИ ТОПОЛЯ НА ПЛЮЩИХЕ" 23.05 Церемония вручения театральных премии 00.15 "Браво, Слава!" М. Ростропович 01.25 Кинотавр - 97 01.40 Свободный класс 02.05 Х/Ф "ОДНА НА МИЛЛИОН"

**НТВ** 09.00, 09.30, 10.00, 10.30, 11.00 Сегодня утром. 09.10 Компьютер 09.20 Впрок 09.35 Новости шоу бизнеса 09.45 Градусник 09.50 На свежую голову 10.15 Спорт 10.20 Этот день в истории 10.25 Карданный вал 10.35 Ретроновости 10.45 Я-телохранитель 10.50 Новости кино 11.15 Мультфильм 12.30 Улица Сезам. 13.00,17.00 Сегодня днем. 13.20 Х/Ф "ФАННИ И АЛЕКСАНДР" 16.35 01.55 Товары - почтой 17.20 Русский альбом 17.35 Дистанция 60. 18.35 Маски-шоу 19.30 Футбольный клуб 20.00, 23.00 Сегодня вечером. 20.40 Х/Ф "ВНУТРЕННИЙ КОСМОС" 23.45 Х/Ф "ОПАСНЫЕ СВЯЗИ" 02.05 Х/Ф "ДИКАЯ ОРХИДЕЯ -2. ДВА ОТТЕНКА ГРУСТИ"

**TV6** 09.00, 17.15, 20.40 Шесть новостей. 09.10 ДИСК-канал. 09.35 Рецепты от "Цептер" 09.45, 02.30 Дорожный патруль. 10.00 Аптека 10.15 90х60х90 10.30 Х/Ф "СЕРЫЙ РАЗБОЙНИК" 11.45 Телемагазин "Спасибо за покупку" 12.20 Шоу еды 12.50 "Назло рекордам" 13.15 Сериал о природе 14.00 Канон 14.35 Территория ТВ-6 15.05 Музыка и пресса 16.00 Ток-шоу "Сделай шаг". 16.55 Спорт недели 17.35 Ералаш 18.05 Москва Алексея Ефимова 18.20 Сериал "ЭЛЛИ И ДЖУЛС" 19.35 Мое кино 20.10 Вы - очевидец 20.55 "ОДНАЖДЫ ПРЕСТУПИВ ЗАКОН" Х/Ф 22.05 Фитиль 23.00 Х/Ф "ЛЮБОВЬ НЕМОЛОДОГО ЧЕЛОВЕКА" 00.35 На-на 02.45 Х/Ф "ДОМ КЛОУНОВ"

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"



# ქვეყანას ანგრევს ლიდერის გარემოცვა...

**ფილიპ ბობკოვი**

მეოთხე გვერდიდან

ისეთი ამხანაგები, როგორც ეპანეჩნიკოვი, რომელიც ხალხის მტერი გამოდგა. მე მინდა მთელი გულახდილობით და სხვათა შორის, წმინდა წყლის სიმართლე ვთქვათ, რომ რაიმე პოლიტიკური თემა, რაიმე კონტრრევოლუციური ხასიათის მოქმედება, რომელიც მიმართული იქნებოდა პარტიის ხაზის საწინააღმდეგოდ, მე არც ეპანეჩნიკოვთან და არც სტუპინთან, რომელთანაც მე, როგორც განყოფილების გამგე, ახლო ურთიერთობაში ვიყავი, არ მაკავშირებს და არც მიფიქრია, არა მარტო არ მიფიქრია, არამედ უბრალოდ შეუძლებელია ასეთი ფაქტების არსებობა.

ვინ გააგრძელებინა, უმალვე ჩაერია კაგანოვიჩი:

– თქვენ ხართ პოლიტიკური მუშაკი, მუშაობთ ისეთ სამუშაოზე, სადაც ყოველ წუთს გვიხდება ლაპარაკი ისეთ თემებზე, როგორიც არის – ბელადი, მეგობარი და მსოფლიო რევოლუციის მტრები, კოლმეურნეობები, საბჭოთა ეკონომიკა, საბჭოთა სამართალი, სტალინური კონსტიტუცია, ერთი სიტყვით, თავიდან ბოლომდე პოლიტიკა. უცნაურია, თქვენ, კულტურული, განათლებული ადამიანი პლენუმს ამგვარ არასერიოზულ რამეს ეუბნებით. მე, ამბობთ თქვენ, მათთან პოლიტიკაზე არ ვსაუბრობდი! თითქოს თქვენ მეწაღეთა არტელის მუშა იყოთ, და ეს არტელის წევრი გვიცხადებს: მე, ამხანაგებო, მოვდივარ ჩემს არტელში, მივუჯდები მაგიდას, ვიღებ ხელსაწყოებს, ვმუშაობ და მივდივარ სახლში. ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ პლენუმი დაკმაყოფილდება თქვენი ასეთი ახსნა-განმარტებით? ისიც კი უცნაურია, რომ თქვენ თქვენს სიტყვას არავითარი პოლიტიკური მასალებით არ ამდიდრებთ. თქვენ ამბობთ: „მე ავღელდი ამხანაგი კაგანოვიჩის გამოსვლის დროს, რომ ასეთი ადამიანები მტრები აღმოჩნდნენ". როგორ ბედავთ, რომ ასეთ რამეს ამბობთ აქ, პლენუმზე – „ძნელი დასაჯერებელია"... თქვენ ჩემი გამოსვლის შემდეგ გყოფნით თავხედობა, განაცხადოთ თქვენი ფრთოსანი გამოთქმით „ძნელი დასაჯერებელია"?

კაგანოვიჩი გაჩუმდა, ეტყობა, ვასილიევისაგან მონანიებას ელოდებოდა; მაგრამ ამ უკანასკნელმა დაიწყო თუ არა ლაპარაკი, ხელახლა გააწყვეტინა:

– თქვენ საკითხს გადაუხვიეთ. აი პირველი კითხვა. მე ზუსტად ვიმეორებ თქვენს ნათქვამს. თქვენ ამბობთ, რომ „მე დიდი მღელვარებით მოვისმინე ამხანაგი კაგანოვიჩის გამოსვლა, იმიტომ, რომ ძნელი დასაჯერებელია, ეს ხალხი მტრები იყვნენ". თქვენ მოისმინეთ ამხანაგ კაგანოვიჩის სიტყვა. თქვენ გამოხვედით კამათის შემდეგ და ამის შემდეგ აცხადებთ: „ძნელი დასაჯერებელია". ამგვარად თქვენი სიტყვა მე ასე მესმის, თუმცა კაგანოვიჩი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც ძნელია დაუჯერო მას ადამიანმა. ასე მესმის მე თქვენი სიტყვა.

ვასილიევი, სრულიად დათრგუნული, გაჩუმდა, მაგრამ მაინც არ მოასვენეს. პრეზიდიუმიდან დააყარეს შეკითხვები. ჯერ შკირიატოვი ეკითხებოდა, ხოლო შემდეგ კი კაგანოვიჩმა ოთხჯერ შეაწყვეტინა. ადამიანი გაანადგურეს ყველას თვალწინ, – რათა სხვებს დაემახსოვრებინათ.

ამაზე 3 აგვისტოს პლენუმის სხდომა შეწყვიტეს, რათა მეორე დღეს გაეგრძელებინათ: კაგანოვიჩსა და შკირიატოვს დრო სჭირდებოდათ ახალი ორატორების მოსამზადებლად. როგორც კი სხდომა განახლდა, სიტყვა აიღო ლებედევმა (სტენოგრამაში არ არის მითითებული მისი ინიციალები და თანამდებობა, – ფ.ბ.). მან თავისი გამოსვლა მთლიანად ვასილიევს მიუძღვნა:

გუშინ ჩვენ მოვისმინეთ პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნის მოადგილის, ვასილიევის გამოსვლა. ვასილიევმა, არსებითად, უნდობლობა გამოხატა, თავის სიტყვაში ამხანაგი კაგანოვიჩის მოხსენების ძირითადი დებულებების მიმართ. მას ეჭვი ეპარება, მას არ სჯერა საოლქო კომიტეტის მდივნის, ეპანეჩნიკოვის დანაშაული... მე ვთვლი, რომ ვასილიევის ეს გამოსვლა არის ანტიპარტიული და ვაყენებ საკითხს მისი პარტიაში ყოფნის შესახებ.

მის წინადადებას მაშინვე მხარი დაუჭირა კიდევ ორმა ორატორმა, შემდეგ კიდევ რამდენიმე ადამიანმა გააკრიტიკა ვასილიევის გამოსვლა.

სტენოგრამის მიხედვით, ეს არ იყო საკმარისი კაგანოვიჩისა და შკირიატოვისათვის. ვასილიევი აიძულეს კიდევ ერთხელ გამოსულიყო ტრიბუნაზე. მისი გამოსვლა ბრალდებულის უკანასკნელ სიტყვას ჰგავდა. იგი მალე გამოიყვანეს პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან და გარიცხეს პარტიიდან, ხოლო პლენუმის დამთავრებისთანავე, დააპატიმრეს. მისი რეაბილიტაცია მოხდა მხოლოდ 1961 წელს, – ოცი წლის შემდეგ.

მას შემდეგ, რაც ვასილიევს გაუსწორდნენ, ისევ სემაგინს დაუბრუნდნენ, და მისი ბედი საბოლოოდ კაგანოვიჩის სიტყვამ გადაწყვიტა.

– როდესაც შენ პროფკავშირებში მუშაობდი, შენზე წარმოდგენა მქონდა, როგორც ადამიანზე, რომელსაც სჭირდება ცემა, აი, ასეთი წარმოდგენა მქონდა.

ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სემაგინი იმწუთასვე გაერიცხათ საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან. პლენუმმა სულ თვრამეტი კაცი გაანთავისუფლა თანამდებობიდან, მათი შემდგომი ბედი გადაწყვეტილი იყო. მაგალითად საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ვ.ფკოვალიოვი გარიცხეს პარტიიდან და პლენუმის შემდეგ დააპატიმრეს.

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

# წაიკითხეთ, მხოლოდ ნუ აჯანყდებით...

მეხუთე გვერდიდან

როგორც კომპანია, შეიქმნა 1994 წლის 17 ოქტომბერს.

კომპანია „საბა"-ს კონტრაქტით დადგენილ ვადაში 5000 ტონა ხორბალი საქართველოში არ შემოუტანია, რის გამოც ეს კონტრაქტი 1994 წლის 2 ოქტომბრისათვის იურიდიულად ძალადაკარგულად ითვლებოდა.

მიუხედავად ამისა, მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 1 ნოემბერს №773 დადგენილებით საგანგებო უფლება მიეცა პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაციას ინტერნაციონალურ კომპანია „საბა"-ს მეშვეობით გაეტანა საზღვარგარეთ 50 ათასი ტონა ლითონის ჯართი და ნარჩენები. ამავე დროს პურპროდუქტების სახელმწიფო კორპორაცია განთავისუფლებულ იქნა საბაჟო გადასახადისაგან. ამავე დადგენილებით სამთო-მეტალურგიის მრეწველობის სახელმწიფო კონცერნს დაევალა რუსეთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი 1400 ტონა მეორადი ალუმინის გადაცემა კომპანია „საბა"-სათვის.

ამ დადგენილებას ისევ და ისევ აწერს ვიცე-პრემიერი ა.მარგიანი, რომელიც დადგენილების მე-10 პუნქტში აღნიშნავს, რომ „კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაევალოს პრემიერ-მინისტრის მოადგილეს ა.მარგიანს".

როგორც ჩანს, დადგენილება არ მოეწონა კომპანია „საბა"-ს მესვეურებს, რადგან გადასახადებისაგან განთავისუფლებული იყო მხოლოდ პურპროდუქტების კორპორაცია და არა კომპანია „საბა". ამის გამო 1994 წლის 14 ნოემბერს ისევ ა.მარგიანის ხელმოწერით გამოდის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №800, რომლითაც წინა დადგენილების მესამე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „განთავისუფლდეს საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის სახელმწიფო კორპორაცია და ინტერნაციონალური კომპანია „საბა", როგორც ექსპორტიორი და იმპორტიორი საექსპორტო გადასახადისა და საბაჟო გაფორმებისათვის გადასახდელი მოსაკრებლებისაგან". აქაც, როგორც ფირმა „მედიკოსი"-ს შემთხვევაში ყველა საბუთი, რა თქმა უნდა, ყალბადაა გაფორმებული და ყველაფერი კეთდება იგივე სცენარით.

„საბა"-ს წარმომადგენლებმა „თბილექსპერტიზ"-ის ბიუროს ექსპერტ კაკაურიძისაგან აიღეს ყალბი დასკვნა, თითქოს „საბა"-ს გააჩნდა ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ნაწილებში შეძენილი 50 ათასი ტონა ჯართი, რაც სიცრუე იყო, რადგან სინამდვილეში „საბა"-ს წარმომადგენლებმა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებიდან ნაღდი ანგარიშსწორებით შეიძინეს 32500 ტონა ჯართი, რაც წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის კუთვნილებას.

1994-1995 წლებში კომპანია „საბა"-ს მიერ თურქმენეთის რესპუბლიკაში უკანონოდ სარეალიზაციოდ გატანილ იქნა აღნიშნული რაოდენობის შავი ლითონის ჯართი.

შავი ლითონის ჯართის საზღვარგარეთ გატანაზე არც „მედიკოს"-ს და არც „საბა"-ს სახელმწიფოსათვის არ გადაუხდიათ არავითარი გადასახადი, მათ შორის არც მოგების გადასახადი. ამგვარად, ა.მარგიანის მიერ ხელმოწერილი ზემოთაღნიშნული უკანონო დადგენილებების შედეგად სახელმწიფომ მიიღო სოლიდური მატერიალური ზარალი. გარდა ამისა ამ ზარალთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მეტალურგიული და მანქანათმშენებელი საწარმოები ნედლეულის (ე.ი. ჯართის) უქონლობის გამო თითქმის გაჩერებულია" (მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 ივლისის დადგენილება).

ა.მარგიანმა, რომელმაც ზემოთაღნიშნულ დადგენილებებს მოაწერა ხელი, გადააამეტა თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებას, რადგან მას კანონის შესაბამისად, უფლება არ ჰქონდა ხელი მოეწერა მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაზე, რის შესახებაც ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი

გაგრძელება ხვალინდელ ნომერში

# ლადავვორდი



მიყრდნობილად: 1. „სასწაულმოქმედი თვალი"; 2. სუფთა, რომელიც „მინდაო" იძახის; 3. საზომი ერთეული, რომელიც „იაპონელს ადგომას მიუთითებს"; 4. „ანას შენს მიერ" საწინააღმდეგო (ნაწ.რუს.კავშ.); 5. პატარა ბავშვის „ტიტებით" ლაპარაკი; 7. „ერთდღიანი" სასკოლო ატრიბუტი; 8. „ანის ონში ჩასაკეტი" წყალსადენის ატრიბუტი; 11. წერილმარცვლოვანი საკვები პროდუქტი, რომელიც „წიწილებს ბურას ეთამაშება"; 14. „კონიაკში ჩამჯდარი" აფრიკის ხარი; 17. „ზოგჯერ უშეილო, მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი; 18. უტყეო „სახლი", სადაც მარადი გაყინულობაა (სომხ.კავშ.); 19. „სამი ოსის ტანზე" ჩასაცმელი; 20. „ორი კაცის" სახმარი ხერხი; 22. „ფაშზე ფარჩამოფარებულთა" სიამაყე; 26. ნაშიერი, რომლებიც „ერთ გრამს იძლევიან" (ნაწ.რუს.კავშ.); 27. ტკბილი და სასიამოვნო „მური"; 29. „შაოსანი მფრინავი" კარატისტი; 30 „გაგლინული" უსეინდისო.

მიწოლილად: 6. „გენას" თეატრალური სცენა; 9. ღორის „მოძახილი"; 10. უპრინციპო საქმოსანი „იურისტი"; 12. მამაკაცის სახელი, რომელიც „აზიაში არ არის" (ნაწ.რუს.კავშ.); 13. „გასაპარსი" სახელმწიფო (რუს.კავშ.); 15. „შუ-ს მჭამელი და თხის მეგობარი" გარეული ფრინველი; 16. „მათეს სასკოლო საგანი თემატიკა"; 21. „აეი" სიბინძურე; 23. 12 თვე, რომელიც „წელს აგდებს"; 24. „დარიან ამინდში ყველის მოყვარული" მდინარე (რუს.კავშ.); 25. „აეი მუსიკალური ნოტიანი ვანში" გადახდილი მისალები თანხის ნაწილი; 28. „ძალიანი" მოთმინება; 31. „რა არის და ისაა, რომ" პრეზიდენტის ცოლია; 32. „ევას მიერ" ხალხის დაშლა; 33. ანტიმეცნიერული პოლიტიკის „რასის" მომხრე; 34. „ხილის ჭამით" დაყვირება; 35. „იაპონელის და მიტოს" ზღვრული ნორმა; 36. „ქალების ლაქიანი" საცხოვრებელი რესპუბლიკაში.

**კობა ბაიდოშვილი**

## კროსვორდი „და ჟღერდა მუსიკა" პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. პაელიაშვილი; 3. რომანსი; 5. კვინტეტი; 13. კამერცი; 14. სერპენტი; 15. დებიუტი; 16. ვოკალი; 19. ვოდევილი; 20. ორგანი; 21. რიგოლეტო; 24. მაზურკა; 26. სოტკილაევა; 27. ინტერმეცო; 28. ეტიუდი; 30. არანჟირება; 31. ბეთჰოვენი; 33. რეპუტაცია; 35. დუეტი; 36. ლელა; 37. ტერცია; 38. არლეკინო; 39. დიაპაზონი; 42. ანტრაქტი; 43. ბელკანტო; 44. კამერტონი; 45. ანშლაგი; 47. იმპრესარიო; 48. კაპელა; 59. ნოტი; 60. აკუსტიკა; 61. დიეზი; 64. ოქტავა; 65. მიუზიკლი; 66. პაუზა; 67. პიანო; 68. ვარიაცია; 69. კვინტა; 70. ინსტრუმენტი; 71. აკორდი; 72. ატონალური.

ვერტიკალურად: 1. პიესა; 2. ივალსი; 4. მუსიკა; 5. კლასიკოსი; 6. თეატრი; 7. ალეგრო; 8. გიტარა; 9. ვოკალისტი; 10. რიტმი; 12. ცაბაძე; 13. კონცერტი; 16. კიკაჩე; 17. იარუსი; 19. ვირტუოზი; 22. ტრავიატა; 23. პრელუდია; 25. ფორტე; 29. პრემიერა; 30. აპლიკატურა; 32. ბემოლი; 34. ვიოლინო; 39. დომინანტი; 40. აკოლადა; 41. იმპროვიზაცია; 43. ბეკარი; 44. კომპოზიტორი; 46. გასტროლი; 47. ინტონაცია; 48. მინდია; 49. ანდანტე; 59. ბასი; 55. კადრილი; 56. მაჟორი; 57. ილიადა; 62. ჟანრი; 63. არკა; 65. მონი.


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447
ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444